

ქართული გზები



საქართველოს
მედიკალთა
კავშირის
გაზეთი
№4 (247)
1-31 აპრილი
2016
ფასი 1 ლარი

გამომცემი
თავიშვილი



რევაზ მიშველაძე

– ჩვენთან პირველად ბრძანდებით?
– დიახ.
– მე მაჰიდოს ტომის ბელადი ვარ, ალბათ გეტყოდნენ.

ოჰაიოს შტატის უკიდურეს დასავლეთში, ატოტოს მთების ძირში სახლობს ინდიელთა პატარა სოფელი.

იგი მაჰიდოს ტომის აპაჩების სამყოფელია და, როგორც ამერიკელები ამბობენ, ამერიკული უნაპირო დემოკრატიის წყალობით აქაურებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ ყოფა-ცხოვრების ის იერსახე, რაც ათასი წლის წინათაც მოსდგამდათ.

სწორედ მაჰიდოს ტომის ბელადს უზის ახლა წინ წაქა ლომოური.

ბელადის ჩაცმულობას და აღკაზმულობას, მისი მკლავების იდუმალებით მოცულ ტატუირებას და თავსამოსს (განსაკუთრებით თავსამოსს) მე სურვილის შემთხვევაშიც ვერ დავასურათხატებ, არც სიტყვები მეყოფა და არც ფერები.

ფარშევანგი გინახავთ? ბოლოგაშლილი ფარშევანგი რომ შეაბრუნო და ბოლოთი სახეპირის გასწვრივ დაუყენო ტომის

ბელადს, დაახლოებით მაინც შეგიქმნით წარმოდგენას აპაჩზე. ხოლო ვისაც ფარშევანგი არ გინახავთ, ჩვენებური, ჯიშიანი, ბიბილოდებებიანი მამალი ხომ უეჭველად გეცოდინებათ, აი, სწორედ მამალს მოგაგონებდათ მაჰიდოს ტომის ბელადი.

– სადაური ხართ?

– ქართველი.

მაჰიდოს წინამძღოლმა „ქართველი“ ყურიდან ყურში გაატარა. იმიტომ კი არა, რომ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ქართველი, იგი არც სხვა ტურისტების წარმომავლობით ინტერესდებოდა.

ნელად ჰკითხა მასპინძელმა.

– დიახ.

წაქამ ქვითარი უჩვენა.

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ, სერ, ამ მცირე ფინანსური უხერხულობისთვის, მაგრამ ეს თანხა მაჰიდოს უხუცესთა გადარჩევით იკრიბება და გზების კეთილმოწყობას ხმარდება. რაც შეეხება საქმეს, გთხოვთ გარეგნულად მშვიდად დაათვალიეროთ სოფელი, ფოტოგრაფირებაც შეიძლება, მაგრამ ფოტოგრაფირების დროს ნუ იაქტიურებთ. აპაჩებს არ უყვართ „შენ აქეთ დადექი“ და „შენ იქეთ

ოჰაიო

ნოველა

მისთვის სულერთი იყო, ვინ საიდან ჩამოეხეტა.

ტომის ბელადი უბრალოდ შეკითხვას სვამდა.

მას, ამერიკელ ინდიელთა წარმომადგენელს, კაცმა რომ თქვას, ვისი ეროვნება უნდა გაკვირვებოდა.

– გეოგრაფი ხართ?

– არა, ეთნოგრაფი.

– აქ რა მიზნით ჩამობრძანდით?

– გაინტერესებს მაჰიდოს ტომის ცხოვრება. მეც პატარა ხალხის შვილი ვარ. მინდა პასუხი გავცე კითხვას, რომელიც ბოლო წლებში დილემად მექცა, როგორ გადაირჩინა თავი ინდიელმა, როგორ გაუძლო ათასწლეულებს და როგორ მოაღწია ჩვენამდე.

– ძნელი ამოცანა დაგისახავთ.

– დიახ.

– მაგ კითხვაზე ენციკლოპედიები უკეთესად გიპასუხებდნენ.

წაქას გაუკვირდა ამ თუთიყუშურად მოხატული ინდიელისგან ენციკლოპედიების ხსენება, მაგრამ არ შეიმჩნია.

– ბაჟის ფული გადაიხადეთ? – მოულოდ-

მიინი“... ისინი თქვენ ყურადღებას არ მოგაქცევენ და ნურც თქვენ შეაწუხებთ თქვენი ცნობისმოყვარეობით. აპაჩები თავიანთი საზრუნავით არიან გართულნი და ნუ ჩაერევით მათ ყოველდღიურობაში. ახლა, მარტო რომ არ მოგიწიოთ კარდაკარ სიარული, მინდორზე, სეკვოიას ხის ქვეშ შეგროვილებს ხომ ხედავთ? იქ მიბრძანდით და მათთან ერთად იარეთ. ეცადეთ, ჯგუფს არ ჩამორჩეთ. იარალი (თუნდაც ცივი), დარწმუნებული ვარ, არ გექნებათ. აპაჩები იმ წამსვე იგებენ, ჯიბეში რას მალავთ და შეიძლება თვალები დაგთხარონ, როგორც ეს შარშან მოხდა. საერთოდ კი მაჰიდოს ტომი, მშვიდობიანობით გამოირჩევა. კიდევ ერთი, „ინდიელობას“ ხშირად ნუ წამოაძახებთ. „ინდიელი“ თქვენ, ევროპელებმა გვინოდეთ და ეს შეცდომაა. სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. წარმატებას გისურვებთ. პირადობის მონმობა გასასვლელში, მორიგეს დაუტოვეთ.

ისლით დახურულ პირველივე ქოხთან ბა-

▶ 183.

ლახზე ინახით მჯდარ ინდიელებს საოჯახო ფუსფუსი გაემართათ.

ჩანდა სადილისთვის ემზადებოდნენ.

ქალებს ზვიგენის ეშვთა მიძივები ჭიპამდე დასთრევდათ.

ორი აპაჩი თითისტარისმსგავს თეთრ ჯოხს ხელისგულებით ნაღმა-უკუღმა ატრიალებდა. ჯოხს ბულულებში ჰქონდა თავი წაყოფილი.

მალე ბულულებს კვამლი მოედო და ცეცხლმაც იფეთქა.

ქალებმა ტაში დასცხეს.

აპაჩები ლამაზი ტანების რხევით კარგა ხანს როკავდნენ ცეცხლის გარშემო. ბოლოს ჭამად დასხდნენ.

სამი უშველებელი გობით მოიტანეს ათასნაირი ბალახ-ბულახი.

ხრამა-ხრუმით, გემრიელად შეექცეოდნენ.

ტურისტთაგან ყველაზე თამამმა, ოციოდე წლის ბიჭმა ტრაპეზის შორიანლო თეთრხელთათმნიანი ხელით მოგლეჯილი ჭინჭრის ბლუჯა გაუნოდა ნესტოში ოქროსბეჭდგაყრილ ინდიელს.

ინდიელმა გამოართვა და შეჭამა.

ახლა ბიჭმა კაქტუსს გრძელი, სქელი, ცერისსიმსხო ეკლებიანი ფოთოლი აახია და იმავე აპაჩს გაუნოდა.

აპაჩმა ეკლებიანად შეჭამა კაქტუსიც.

... მეორე ქოხის წინ ბალახზე ჩამუხლული აპაჩის წინ ტყავის მოკლეშორტიანი უმშვენიერესი გოგონა წამომჯდარიყო და უბუზხალტერო მკერდი ტატუირების ოსტატისთვის მიეშვირა.

წაქას მოეჩვენა, რომ მხატვარი თითქოსდა განგებ, დიდხანს ხატავდა მაჰიდოს ტომის უმშვენიერეს წარმომადგენელს.

ხატვას რომ მორჩა, ქამრის სისქე ტყავის რგოლი შუბლი – კეფაზე მოარგო ქალს, ფრთებით აჭრელებული კალათა ახლოს მიიჩორა და შუბლქამრის სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა ფრინველის ფრთებით მოქარგვას მიჰყო ხელი.

მალე ჩვენს წინაშე უნატიფესი ფრთების თავსამოსელით შემკობილი ქალი იჯდა.

– მეც მინდა! – დაიძახა წაქას ჯგუფის ერთმა, არც თუ ახალგაზრდა, მაგრამ კარგად შენახულმა ქალმა.

ტატუმანერმა ახლა ის დაისვა წინ და თმებზე ტყავის ქამარი მოარგო.

– ჰაუ მაჩ?! – ჰკითხა ქალმა.

– უან ჰანდრიდ დოლარ, – გაუღიმა აპაჩმა.

ტურისტმა ქალმა თავი დაუქნია, გაღიმებით, ვერ მოგატყუებთ, არ გაღიმებია.

... მესამე ქოხთან თუნუქის იატაკზე მიმოხეულ ნაკვერჩხლებზე არც თუ არხინად, მაგრამ გულდაგულ დააბიჯებდა აპაჩი და ირგვლივ შემოჯარულ ტურისტებს უხმობდა. ბოლოს რაკილა ნაკვერჩხლებზე სიარულის მოყვარული სტუმართა შორის ვერ იპოვა, პეშვით აიღო ნაღვერდალი და ერთი ამოჩემებული ტურისტისკენ წამოვიდა.

„ნუ გეშინია, აი, ხომ ხედავ, არ მწვავს. ეს ჩვეულებრივი ნაკვერჩხალი არ გეგონოს. ჩვენებური, აპაჩური ნაკვერჩხალია“.

გრძელთმიანი, წითური, უღვაშა ტურისტი გაბრიყვდა. ის იყო ორი თითით დაწვდა ნაკვერჩხალს, რომ საშინელი ღრიალით გადაყარა და თითებზე სულის ბერვით გაიქცა.

... მეოთხე ქოხის წინ, ვერტმფრენის დასაჯდომი მოედნისხელა მინდორზე აპაჩს გრძელი საბლით ეჭირა ოქროსფერი ულაყი და წრეზე დაარბენინებდა.

აპაჩს მათრახის ენა მოკეცილად ეჭირა და დროდადრო ცხენს გაუტკაცუნებდა.

ნესტოებდაბერილი და თვალეგაფართოებული ულაყი მათრახის ყოველ გატკაცუნებაზე სიჩქარეს უმატებდა.

მათრახები სხვა აპაჩებსაც ეჭირათ და ისინიც თავის მხრივ დასძახოდნენ ცხენს მხოლოდ მათთვის (და ალბათ ცხენისთვისაც) გასაგებ, აპაჩურ ენაზე.

ბოლოს აპაჩებს ჯვალოსკაბიანი სახეპირმკლავებიანად სამფრად (წითელი, ლურჯი, შავი) ტატუირებული აპაჩი გამოეყო და თვალისდახამხამებაში უბელო ცხენს ზურგზე მოექცა.

ულაყი, რა თქმა უნდა, წრეზე სირბილს განაგრძობდა, მერე რაც მოხდა, წაქას მხოლოდ ცირკში უნახავს.

აპაჩი მხედარი ხან მუცელზე აეკვრებოდა ცხენს, ხან ფაფრის გასწვრივ ორ ფეხზე დადებოდა, ზურგით შეტრიალდებოდა და სხვა აპაჩებს ხელით უხმობდა.

სხვა აპაჩებიც არ აყოვნებდნენ. ისინი მორიგეობით ახტებოდნენ ცხენს ზურგზე და ერთხელ ისე შეთამამდნენ, რომ მქროლავ ულაყზე ერთმანეთის მხრებზე შემდგარი სამი აპაჩი დაჰქროდა.

მოედნის შუაგულში აპაჩებმა დაახლოებით ასე 6-7-მეტრიანი ბამბუქის სვეტი აღმართეს სვეტის თავზე დამაგრებული, აალებული ჯამით.

ცხენოსანს მშვილდისარი შეაჩეჩეს.

აპაჩმა პირველივე სროლაზე ჩამოაგდო ჯამი და არა მარტო ჩამოაგდო, ხელითაც დაიჭირა, თანაც ისე დაიჭირა, რომ ალი არ

ჩამქრალა.

...მეხუთე ქოხთან თეთრზენარგადაფარებულ ფიცარნაგზე შავტუხა ბიჭს ქირურგი ოპერაციას უკეთებდა.

ჯერ შელოცვასავით კარგა ხანს იბუტბუტა, მერე ხელებზე წყალი გადაივლო. ვაზის ლერწვით წვრილი და ხმელი თითები აათამაშა ავადმყოფის მუცელზე და თხუთმეტიოდე წუთში ამოკვეთილი ბრმანაწლავი ხელში ეჭირა.

ავადმყოფი წამოდგა, ქირურგს მადლობა გადაუხადა და თავისი გზით წავიდა.

არც შეხვევა-გაკერვა დასჭირვებია, ნვეთი სისხლიც არ დაუღვრია. თქვენ წარმოიდგინეთ, ნაოპერაციევ-ნაიარევიც არ ემჩნეოდა.

ექვსი საათისთვის ოროტოტოს ჟღრიალი გაისმა.

მაჰიდო ერთბაშად უჩვეულოდ ამოძრავდა-ახვანცალდა.

აპაჩებმა საქმიანობა შეწყვიტეს, ხელსაწყო-საჩეჩელები აკრიფეს და ქოხებში შეიმალნენ.

გეგონებოდათ, ლოცვის ჟამმა დაჰკრაო, სოფელი სადაც ხუთიოდე წუთის წინ აპაჩური სიცოცხლე ჩქეფდა, დადუმდა, უკაცრიელს დაემსგავსა.

წაქა თავის ჯგუფთან ერთად გასასვლელისკენ გამოემართა.

ტურისტები ორსართულიანი ომნიბუსით წავიდნენ.

წაქა დარჩა. სოფლის შესასვლელთან ჩამწკრივებული ჯიპების შორიანლო ხის სავარძელზე ჩამოჯდა.

ერთი საათიც არ გასულა, ჩაჯინს-ჩაჰალსტუხებულები აპაჩები მხიარული მასლაათით ჭიშკრისკენ, სხვადასხვა ფერმარკის ჯიპებისკენ გამოემართნენ.

ის-ის იყო პატრონებმა კარები მიიჯახუნეს, რომ ჯიპები ერთბაშად მოწყდნენ მოედანს და ტყვისფერ ასფალტზე გამწკრივდნენ.

წაქა ახლალა მიხვდა ყველაფერს.

აი, თურმე რატომ არ ისმოდა სოფელ მაჰიდოში ბაღლის ტირილი, ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი.

თეატრალური მაჰიდო ხვალ დილამდე რჩებოდა ცარიელი ცის და დარაჯი პოლიციელების ანაბარა.

„რა დღე გელის, ჩემო უბედურო სამშობლოვ!“

ასე ფიქრობდა წაქა.

22. III. 2016

თბილისი



მურმან ჯგუბურია

ლექსი რომ მიწა დავეწრო (ამ წუთას ასე ვფიქრობ): ისე არ არის რაღაცა, მე როგორც მიწა იყოს.

თან ასე ვფიქრობ ამ დილით, თან ჩემი არვის ესმის, თუმცა სიმართლეა ნამდვილი, რასაც მკარანახობს ლექსი.

სადაა მაკედონელი, ბათო-ყაენი, ანდა კოჭლი თემური, რომელიც სისხლს ლეონოსავით სვამდა. სადაა ჯალალედინი, ან ბონაპარტე, ანდა, ახლა რომ არსად არა ჩანს და როსმე ყველგან ჩანდა.

სადაა ახლა მურვან-ყრუ, ან შაჰ-აბასი, ანდა ჰიტლერი, ვისაც მსოფლიოს დაპყრობის ჟინი ჭამდა, ახლა რომ არსად არა ჩანს და როსმე ყველგან ჩანდა. სადაა ცეცხლი, ოდესღაც რომ გადავგინვა სინნა, ალი რომ ზეცას უწია და იქცევა ნაცრად იქცა.

P. S.

რადგან დიდია სათქმელი, გამოვუნახოთ ფონი: ომს მუდამ ის ეწირება, ვინც წამოიწყო ომი. ტაბაკზე უდევს ბაბუას, რაც მოინა შრომით: ხვანჭკარა, ფხალი წითელი, და ლობიო და ლომი.

ორი ლატაკი: ფიროსმანი, ერთიც – გრანელი, ცხოვრება მსგავსი, ერთნაირი, აუტანელი. ორი ლატაკი: არცა ბინა, არც მისამართი. ერთს ძონძი ჩოხა და მეორეს – ძონძი ხალათი. ანუ, წაერთვათ ყველაფერი ამქვეყნიური, ოდეს უფალმა მათ უბოძა ნიჭი ღვთიური და მიაგვანა ორივენი ქრისტე-მაცხოვარს, თვის ძეს, საყვარელს, გვირგვინოსან-ნარეკლებიანს, ჯვარზე გაკრული ვითომ წამით რომ მიატოვა, მაგრამ წამითაც რომ აროდეს დავეინყებია.

კერასთან

ბაბუა მას თავზე მეტად ვუყვარვარ თვითონ და წიგნს ჩავცქერი კერასთან როცა, – ის ცეცხლს ანელებს, რადგანაც სითბო ხელს უშლის სალი აზრების მოსვლას.

ბეზია ხოლო ბეზია სხვაგარად ფიქრობს და წიგნს ჩავცქერი კერასთან როცა, – ის ცეცხლს აჩალებს, რადგანაც სითბო ხელს უწყობს სალი აზრების მოსვლას.

მე იყო მართალი მაინც რომელი? ცხადია, მაშინ ვერ გავარჩიე, თუმცა მკითხველი პასუხს მოეღოს, პასუხი დღესაც არ გამაჩნია.

ბორხესის წიგნზე მიწაწერი

ვის არ ახსენებს ბორხესი, მაგრამ აღარ ახსენებს ქართველს, არ მიუწვდება ხელი და რა ქნას, – ათიოდ ენას აქნევს.

წინ მიდევს წიგნი, ვკითხულობ თარგმანს, ლეგენდებსა და მითებს... ჩვენ ბორხესისთვის არა ვართ, მაგრამ ქართული ბორხესს იტევს.

ღვთისგან გვერგუნა, გაუფსვთ ხაზი, ქრისტიანული ენა, იტევს რომელიც თავისი არსით სოფელს ქვენას და ზენას.

მე ისეთი იღბლიანი კაცი ვარ – როცა მიწა, მაშინ ვნახავ მთანმინდას, მე ისეთი იღბლიანი კაცი ვარ, შემოძლია ახლა ვნახო მთანმინდა. მე ისეთი იღბლიანი კაცი ვარ, შემოძლია სულ არ ვნახო მთანმინდა.

მე მასხენდება ძველ-კოლხური სიმღერა, სადა, სადაც გამზრდელი ქალი ცირას უხსენებს სადაფს: „ვამ, გამზრდელი და სადაფი შენი ლამაზი“... და სიტყვის იქით ჩანს ასულის ტანისამოსი, ჩანს სიტყვის იქით, რაც ამჯერად აქ აღარ ითქმის და სახიერად დაინახა გამზრდელმა თითქმის...

დეკემბერია, სუსხი და ყინვა. და ჩანს მკაფიოდ ვარსკვლავი ერთი... ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, ვინ ვართ და რას გვარგუნებს, არ ვიცით, ღმერთი.

მაგრამ ისეთი გარემო ჩნდება და სინყნარეა ისეთი ირგვლივ, აღემატება რაც კაცთა ნებას და მიგვანიშნებს უკვდავი წიგნი.

სუსხია, ყინავს, ქოხს, ჩალამ-კალამს უბეში იფენს სამყარო ვრცელი, თოვს ხვავრიელად და ტალახს ფარავს და მიწა ქრისტე-მაცხოვარს ელის....

წიგნიდან: „ჩემი თანამედროვენი,“ რეზო კვესელავას

სამზარეულო, სადაც რომ კუდს ვერ მოიქნევს თავი, ხაზის რადიო საუბრობს, თოვს, ხვავრიელად ბარდნის.

იანვარია ლამაზი ორი ათასი ერთის, დრო მიდის თამაშ-თამაშით, უასაკოა ღმერთი.

თეთრია ფიქრი თოვლივით, სიტყვაში სძინავს კითხვას და ისეთ რამეს მოველი, რომ მეშინია, ითქვას...

რეზა მიშველაძე

მე მომწონს შენი ნოველა, განსაკუთრებით – „ლომი“, მწვრთნელს რომ დაჰყვება ფეხდაფეხ და მიდის ჩუმი ომი.

შიში ჭამს გამვლელ-გამომვლელს, თვალს რომ მოჰკრავენ ოდეს, – ლომთან ვინ რაღას გააწყობს, ან რა იმედი ჰქონდეს.

ეს ყველაფერი ასეა, თუმცა, რახანია, ველი, რომ წავიკითხავ ნოველას, რასაც ერქმევა „მგელი“.

წვრთნას რომ არ ემორჩილება, როგორც ავტორი მისი, მე იმას ვამბობ, რაც ჩემი ხუთი თითივით ვიცი.

მგელია თავად მწერალი, მწვრთნელი თავისი თავის, არვის მორჩილი, მენცარი სოფლის კარგის და ავის.

რაც არის ჩვენი ცხოვრება – ვაი-ვიში და გლოვა... ლომი ლომია, ცხადია, მაგრამ მგელთან ვერ მოვა!

ფრიდონ ხალვაშის მოსაბონარი

მე რომ ჭაბუას ვესტუმრე (ეს იყო წლების წინათ), თვალი შევასწარ, მესიტყვეს რა წიგნი ედო წინა, მითხრა: „ფრიდონის წიგნია, გეცოდინება, მჯერა, რა ჰაი-ჰარად ვეძახით მავანს ხანდახან მწერალს. სოკრატეს ეთქვა, რაც მან თქვა, გააკვირვებდა მკითხველს“, აილო „ომრი“, გაშალა და წაიკითხა იქვე: „არის არ – ცოდნა, რომელიც სჯობნის ყოველგვარ ცოდნას, – არავინ იცის სიკვდილი როდის ეწევა მოკვდავს“.

კვლავ ვინახულე ჭაბუა, და ისე, როგორც ერთ დროს, თვალი შევასწარ, ის წიგნი მაესტროს იქვე ედო.

დღეს არც ჭაბუა არ არის და არც ფრიდონი, მაგრამ იმ განწყობასთან ვერ მოვა თვით სიცოცხლესთან გაყრა, მე რომ ჭაბუას ვესტუმრე და იქ ფრიდონიც იყო,

დაუჯერელი კი არის, ერთი შეხედვით, თითქოს, მაგრამ მწამს, ერთად არიან, როგორც აქ იყვნენ ერთად,

წიგნი და კაცი რამ გაყო... სულ ეს მიწოდდა მეთქვა!

ბალათირ არაბულს

გვარს რაც ენება, არაბულს, ნიშნავს ფეხმარდს და მერანს და ესმის ოფლში გაქაფულს ჯურღაის ფარის ჟღერა. პოეტი იყო მხედარი, როცა გვესხმოდა მტერი.

რინდი, შორს გამხედავი, რკინა და რკინისფერი. ახლა ის დროა, ბალათერ, რომ სიტყვა გახდეს ხმალი, და გაუტოლდეს არაფერს ჩვენი ტყავი და ძვალი!

ექსპრომტად ნათქვამი აფხაზი

სახლიკაცებისადმი

არის უსიტყვო რამ ჰარმონია, ანუ, სიტყვაზე ბრძენი: ყველაფერს, ქვეყნად, ასე მგონია, სჯობს ჩამორთმევა ხელის.

ნათო ვარნაძის სურათთან

სანთელო ხატის წინ და ელვავ, დამწვარი გზაში. მობრძანებულო ციდან, ნაბრძანებულო ცაში.

თუმცა მარად არის ერთი: გუშინ, დღეს, ხვალ, მარადღამს, ადრე ჩუმად გვწამდა ღმერთი, ახლა ჩუმად არა გვწამს.

კართან – შიშველი ცაცხვია, ლობესთან შეშა აწყვია; ლობეც შეშაა, ჯიმაგე, თუკი ზამთარი მკაცრია.

რა უთხრა ამ ვარდს მაფშალიამ წუხელ ისეთი, რომ ასე უცებ გახმა... „აი მიზეზი, და მიზეზის კიდევ მიზეზი,“ რაზედაც ვფიქრობ ახლა.

მანანა ჩიტიშვილს

ჩიტიშვილის მომწონს ლექსი, ჩიტიშვილის შაირი, სხვათა მსგავსი, როგორც წესი, და მაინც სხვანაირი.

მე მაპატიოს გრანელმა უნდა, რაც მას არ ჰქონდა და მე მაქვს, თუნდაც: აი, ეს დილა, საუზმე, სითბო, მეტი რომ არ ვთქვა, რაზეც აქ ვფიქრობ.

მე მივიღებ ჩემს საკუთარ პრემიას, რა თქმა უნდა, მერე, როცა წავალ, სხვა პრემიას, როგორც წესი, დღე მიაქვს, სხვა პრემია ბლეფია და ჰავა.

ცა ბაი ში კიბორჩხალებს ხატავს, – ტილოდან რომ გაურბიან მხატვარს...

ყველაზე მოკლე და ყველაზე დიდი რომანი, რაც კი წამოიკითხავს: „რამდენიც მატირე, იმდენი გეცინოს“.

საქართველოს

რატომ ვარ შენთვის ზედმეტი ბარგი, რატომ სამსალას მასმევე?... რა ჩავიდინე ისეთი კარგი, რომ შემოძულე ასე...

გოჩა ხარანაული

მამულის თაობას

ვერ გეცრუებით, თქვენც ხომ ხედავთ
 „ირგვლივ რაც ხდება,
 ხარი ნიქარა კუდიანის ცხვირწინ მარცხდება!
 როგორ იქნება ან სიცოცხლე, ჩვენო მამებო,
 არაქართულად, უჯვარხატოდ და უსამებოდ?!
 აღარც სტუმარი, მასპინძელი აღარ მასპინძლობს,
 არც მცხეთა მცხეთობს, არც ასპინძა
 აღარ ასპინძობს!
 აღარც ქალაქი, აღარც ქუჩა, აღარც შეგნება,
 ალბათ თქვენს შემდეგ არაფერი ჩვენ არ გვექნება!
 აქ, ქეთევანი პოდიუმზე თქმის აგორებს,
 ჩემი სამშობლო ჰარამხანას უფრო მაგონებს!
 გარდა ქართულის ყველა ჰანგზე გვესიმღერება,
 ჩვენ აღქაჯებმა ამოგვაჭრეს მესხიერება!
 ჩვენ გავიყიდეთ, ბედნიერი ჩვენ ვართ მონები,
 არა მახვილით, არა ცეცხლით, ჭკუა-გონებით!
 თქვენ, ღირსეულნი, სიტყვის, საქმის უმანკოებით,
 არ დაადუმოთ უკვდავების სამრეკლოები!

„ოთხმოცილეზი“ ჯანსუღს

ოთხმოცის ხდებიან ბებერი ლომები.
 მამულის წყლულებთან
 პირნათლად მდგომები!
 თავადვე ქცეულნი სიცოცხლედ უღევად.
 ზეცისგან დასჯილნი – მარადიულებად!
 ვინც ზეცამ დანიშნა,
 რას უზამს მავანი,
 რას უზამს ქვეყანა
 ქოქოლაც აყაროს.
 რაც რჩება და ცოცხლობს
 ისაა მთავარი,
 რაც კვდება თიხაა
 და მიწა აყალო!
 ვინც ფლიდმა ჟამთასვლამ
 დატოვა უფაროდ,
 ხმლით ხელში შემორჩნენ
 ხანდაზმულ ბავშვებად.
 ას წლამდე არა ქნა,
 კეთილო უფალო,
 ამათი აქედან
 იქითკენ გაშვება!

იძნებ (ჯანსუღს)

რალაც უნდა მოვიფიქრო და მოვიმოქმედო,
 იქნებ დაუშვას ღმერთმა და – მომხედოს.
 რამე უნდა მოვიგონო, მივიხედ-მოვიხედო,
 ღვთის დგომით ჯადოსნური ჯოხი მოვიხედოთ!
 იქნებ სისხლის გაცემამ მომიწიოს,
 და გული ვაქციო ატომად!
 უჩინ-მაჩინის ქუდი მოვიძიო...
 (შენ მიმხვდები, რატომაც).
 ვაკენესებ სალამურს და ცრემლმა გამგუდა,
 მე შევძლებ მოსისხლე რომ არ გავაციხო.
 იქნებ ბალახ-ბულახი მაჩუქოს თავგუნამ,
 და მკვდარი ნიქარა კვლავ კაცად ვაქციო!

ჩემო ჯანსუღ! ჩემო ძმაო!
 თან უფროსო ძმაო.
 ლოდს შეგუჩნდი საჯილდაოს,
 ვქენი მინისძვრაო!
 არა, შენ ნუ მომიკვდები,
 განა მარტო ძვრაო,
 ისე დავილლიავე
 როგორც ფოჩი ძნაო!
 არ მოვდივარ თვალში ვირთხებს,
 ვერ დამტიეს თვალში,
 თუ გჯერა უფალს ჰკითხე,
 ან სამშობლოს აშლილს!

გიხაროდეს, წყვილად მოვცხე,
 სულ მათრხაით ვბნიდე.
 მიხარია – რომ დამლოცე
 და თვალს არ მარიდე!
 პოეტს ასაკს ვინ უწესებს,
 ან ასაკი რაა?!
 მთავარია – გული მზეა,
 მზე კი თაკარაა!
 ყველა თავის სივრცეს იდგენს,
 თავის ზომა-წონით.
 მაგრამ ღვთისთვის
 რომელია ნეტა მოსაწონი?!
 ჯორს კაზმავენ – გამაბრაზეს!
 ჯორი როდი რაშობს.
 ვერ გავიგე, ამ ჯამბაზებს
 ვინა შობს და რა შობს!!

ჯანსუღს

*„მე როდი მამწონება სიტყვა ნათქვამი უმადა,
 ამიტომ გოცნი პირშია, გადაგვხვევი ძმურადა!..“*
 მკაშა

თუ იადონი ვერ იადონობს,
 რისთვის ჭირდებათ თვალეხს ცარგვალი,
 სიყვარულია, ჯანსუღ ბატონო,
 ყოველი სიბრძნის მთავარსარდალი!

მოქცევა უნდა მოჰყვეს მიქცევას,
 უნდა ვარიდო ნაჩვევს უჩვევი,
 სიკვდილი არსად არ გაიქცევა,
 ჰოდა, სიცოცხლეს ვებლაუჭები.

ნეტა რაც ვიცი, სულ არ ვიცოდე,
 ჩემი გული მკლავს, არ მყავს სხვა მტერი,
 პოეტს არავინ არ შეიცოდებს,
 მას უფლის გარდა არ ჰყავს დამტევი!

მამულს იარებს ლექსით ვულოკავ,
 ლექსით ვიყუფებ დრომ თუ მადროვა,
 შეუნდოს შენმა ხანდაზმულობამ
 ჩემს მამულმოკლულ ახალგაზრდობას!

ჯ ა ნ ს უ ლ ს (როცა დაიწყებს წყარო საუბარს...)

ჯ ანის სისაღეს გისურვებ,
 ა ლმაფრენის ხარ კონცხი,
 ნ ატვრას სიყრმისას ვისრულებ,
 ს იბერეს შენსას ვკოცნი.
 უ რჩხულებს მახე გაუბამთ,
 ღ ამეს ჩირაღდნებს უსევ,
 ი მ წყაროს ნალოც-ნაუბარს
 მონუსხულივით ვუსმენ!

ხ ვ ა ლ ჯანსუღს

არცერთი სახე ნაცნობი,
 არცერთი სახე – ვარაყი.
 (აღარცა ტატოს მერანი,
 აღარცა საბას არაკი).

არცარა თვალი ცვარული,
 არცარა ქედი ხარული,
 სიკვდილი – ხელმოცარული,
 სიცოცხლე – სალაფაური.

არცარა ვალი მოხდილი,
 არცარა გული ფანცქალა,
 არცარა მუხლი მოხრილი,
 მკლავი გამლილი – არცარა!

არცერთი გრძნობა – ჩუქურთმა,
 არცერთი ხაზი ციური,
 წალმა – დამდგარი უკულმა,
 სიყალბე – ემოციური!

არც სიკისკასე შუშხუნა,
 არც შუბლი – სევდის ბინულით,
 არც სიხარული – უუჟუნა,

არც ძმობა კოკისპირული!

ჩოხის კალთასა ვკერავდი!
 გორდაის ფხასა ვფერავდი!
 ხოგაის მზესა ვჩხვერავდი!
 დრომ ჩამირბინა ანცობით...
 არცერთი სახე ნაცნობი!
 არცერთი მდელო – ფერადი!

ჯანსუღ ჩარკვიანს

ერთ მშვენიერ დღეს, შენ რომ დამლოცე,
 ისე მამა შვილს თუ დალოცავდა!
 მას შემდეგ ბევრმა წყალმა იარა,
 განსაკუთრებით ეს ლექსს ეხება,
 შეუხორციებელს როგორც იარას!
 მაგრამ, დროებით შევეშვით ლექსებს,
 საქართველოში ყველას ფრთები აქვს,
 მივანდოთ მათი ძვირფასი თავი
 მსაჯულს ბრძენთაბრძენს და მოუსყიდველს!
 (ისტორიას რომ უწოდებენ).
 რა საბრალოა მასპინძელი,
 რომელიც ყველას გულალაღად ეპატიჟება
 საკუთარ სახლში,
 რომელსაც მერე გულმოდგინედ ინანილებენ!
 მე ერთადერთი კაპიტანი ვიცი ხომალდზე,
 სხვა შემთხვევაში ეკიპაჟი განწირულია!
 ათასი ჯურის მგზავრის აყვანა
 ახლა უცხოთა გემმა იტვირთოს!
 არ შეიძლება საერთო დედა,
 ყველას თავისი დედა ჰყავს რადგან.
 დროა, სუყველამ მშობლიური კერა ეძიოს,
 ვიცი სისანყლემ დააბრმავა ერი ცოდვილი,
 გუშინ ფარდაფარ და ხმალდახმალ მავალი ერი
 დღეს უშველებელ დახლთან დამდგარა,
 სადღაც გამქრალა რაინდული სულისკვეთება,
 და სოვდაგრული სული ღზევდება!
 ფესვმაგარ მუხას შესევია სისხლის მწოველი,
 ჩემი თუ სხვისი ერთიანად მუხის მტერია!
 სულ ორი კაცი აღარ დარჩა საქართველოში
 ერთმანეთისთვის სიყვარული ემეტებოდეს!
 ხშირად ვტირივარ განსხვავებით სიყმანვილისა,
 და ჩემი ცრემლის გასამართლებლად
 ათასნაირ ოინს ვიგონებ!
 ვერ გავაგონე ოინბაზებს, ტაკიმასხარებს,
 დავრჩი საკანში, ჩარაზულში რკინის რაზებით,
 წყაროს თავს ისევ დევი სდარაჯობს,
 ძირში შეაჭრეს მთესველს მარჯვენა,
 და ღამურები კლანჭს მიქნევენ კვლავ
 გაბრაზებით!
 შეკრეჭილი აქვთ ლომებს ფაფარი,
 ბულბულს გალობის ნებას არ რთავენ,
 მზე ისევ ვეშაპს ჩაუყლაპია,
 ფარას უდგანან მგლები დარაჯად,
 ხოლო ცისკარა ისევ ღლაპია!
 და ვერაფერი მე ვერ შევძელი,
 ვერც სულის ჩადგმა მომაკვდავისთვის,
 ვერც დახრუკული მინის რწყულება,
 ვერც შეცდომილის უფლისაკენ შემობრუნება!
 ვერც ერთგულებით მოვკალ ღალატი!
 ეს კი შევძელი,
 –დავუძახე ედემს ედემი,
 პოეტს – პოეტი,
 მონას – მონა,
 ჯალათს – ჯალათი!
 ჩემს ქვეყნად მოსვლას ერთადერთი აზრი ჰქონია:
 უნდა მიყვარდეს, უნდა მწამდეს, უნდა მჯეროდეს,
 რადგან სიყვარულს ვერ დაამხოვს ვერვინ
 ვეროდეს!
 ვერ უნდა გავძღე სიყვარულით მოურჩენელით,
 რადგან იგია საქართველოს გადამრჩენელი!
 უნდა მახსოვდეს სიყვარული
 სხვათა ჩემდამი,
 რათა გავხედნო სიძულვილი გაუხედნავი!
 ყოვლად ძლიერმა სიყვარულის ცეცხლი მიკიდოს,
 მხრებზე კაცობის მძიმე ტვირთი გადავიკიდო!
 ნეტავი ერთხელ, იმნაირი დარი დგებოდეს,
 –საქართველოში სხვისი
 მკვდარი არ არსებობდეს!

კაცობრიობა აგრძელებს ხეტილს „გაურკვევლობის ჯოჯოხეთის“ წრეებში, რომლის შედეგაც არის მსოფლიოში მიმდინარე მრავალი კონფლიქტი: პოლიტიკური, კონფესიათმორისი, სოციალური. თუმცა კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქოს წარმოუდგენელი იყო მესამე შესაძლებლობა, როცა ქვეყნების მიერ დაგროვილ ბირთვულ პოტენციალს შეუძლია ერთ წამში გაანადგუროს მთელი პლანეტა, ადამიანთა მოდგმა. ომი არსებითად მიმდინარეობს და მას „ჰიბრიდული“ ჰქვია. ამ ახალი ტიპის ომში სრულიად ნათელია რელიგიური შეხედულებების, სწავლებების და იდეების გამოყენება, როგორც „მასების აჯანყების“ ფუნდამენტის. იქ, სადაც არ მუშაობს კულტურული, პოლიტიკური ან პატრიოტული მექანიზმები, რელიგიური იდეა კვლავ რჩება აქტიურ მობილიზაციად, მაგრამ ამას ყველა როდი აცნობიერებს.

მაგრამ არავითარი ეჭვი არ არის, რომ სწორედ რელიგიური კონფლიქტები ყველაზე რთულია თავისი არსით, რადგან ისინი ეხებიან თითოეული ადამიანის ცნობიერების და პიროვნულ-მნიშვნელოვან სიღრმეებს; რომ „რელიგიური კარტი“ სულ უფრო აქტიურდება და მსოფლიო კულტურულ და პოლიტიკურ ბრძოლაში სხვადასხვა მიზნებით გამოიყენება.

თანამედროვე საომარი კონფლიქტები ზოგჯერ მართლაც აღწევენ ტრაგიკულ მასშტაბებს და ქმნიან უდავოდ უდიდესი ლტოლვილების ურიცხვ ნაკადს, მიტარებენ რომ ითხოვენ ყველა რელიგიური ლიდერის სასწრაფო ჩარევას. მთელი ცივილიზებული მსოფლიო მოლაპარაკებების მრგვალ მაგიდასთან მათი ძალების გაერთიანების მოლოდინში გაირინდა და კონტროლიდან გამოსული სიტუაციის დასარეგულირებლად მხოლოდ დიალოგის ასეთი ფორმაა აუცილებელი. ხოლო თუ ეს ამა თუ იმ მიზეზით არ მოხდება, მოგვიწევს

დაკავშირებულია ადამიანური ბუნების სიღრმეზე - რელიგიურ ფაქტორზე. თავს უფლებას მივცემ აღვნიშნო, რომ სწორედ ისინი - „ტივილის და რწმენის წერტილები ადამიანში“ - ინტეგრირდება და ვერ ამჩნევენ ისინი, ვინც მოწოდებული იქნებოდა მათ გასათვალისწინებლად. ამიტომ ასეთი განრისხებული გზება გამოდის გარეთ და სიძულვილის გზით აღწევს ცნობიერებაზე.

ეჭვგარეშია, რომ რელიგიური ლოზუნგები თანამოაზრეებს თავისი ქმედებების „წმინდა სიმართლეში“ განსაკუთრებული რწმენით „ასწავლებს“. ამას კი თავის მხრივ მივყავართ „რელიგიურად ჩვენების“ ბრძოლის ზრდასთან „რელიგიურად უცხოებთან“. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ამ პრინციპს მოჰყვება თან ლტოლვილებიც სხვა ქვეყნებსა და კულტურებში. ამ ლტოლვილთათვისაც არამშობლიური ეს რელიგიური პრინციპი ევროპულ ქვეყნებშიც ასევე გარდაუვლად აქტუალური იქნება და ამიტომ ღიად რჩება კითხვა: ახლანდელი ლტოლვილები რატომ არიან ბედის ანაბარად მიტოვებულნი არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეთა, არამედ პირველ რიგში რელიგიურ მოღვაწეთაგან? სირიიდან გაიქცა 400 ათასი ქრისტიანი - ვინ ეხმარებოდა მათ გზის დასაწყისში, ვინ ედგა მათ გვერდში საზღვრის გადაკვეთისას? ნეპალიდან, ინდოეთიდან, შრი-ლანკიდან ბუდისტები გაიქცნენ პაკისტანის, ირანის, თურქეთის საზღვრის ვაკლით - რატომ არ იყო შექმნილი საფარი, არ შეჩერდა ეს ბოზოქარი ნაკადი, არავინ მოუწოდა მათ გაეთავისუფლებინათ თავიანთი გულები აგრესიისა და სიძულვილისაგან? ათასობით ლტოლვილი საფრანგეთის საზღვარზე, კალეს სიახლოვეს ბედის ანაბარად იყო მიტოვებული - მათ გვერდით არ იყვნენ კულტურის წარმომადგენლები, რომლებიც შეძლებდნენ

გაიგებენ, ვიდრე ევროპარლამენტის მეთაური. ღირს გავიხსენოთ 1970-იანი წლები და მასობრივი მიგრაცია, ებრაელთა გაქცევა საბჭოთა კავშირიდან ავსტრიაში: იმ დროს ვენაში „ლტოლვილებს“ მხარს უჭერდნენ იუდაიზმის მთავარი პირები, რეგიონული რაევინატის რაბინთა წარმომადგენლები, ავსტრიელი მოხალისეები ეხმარებოდნენ მათ ახალ, ჯერ კიდევ უცხო გარემოში დამკვიდრებაში...

ამკარაა, რომ სიტუაცია ევროპაში და მსოფლიოში გაუარესდება თუ რელიგიური ლიდერები, მსოფლიო რელიგიის წარმომადგენლები არ მიიღებენ გადაწყვეტილებას რიგი ერთობლივი შეხვედრების ჩატარების შესახებ, რათა ლტოლვილთა „მიტოვებულობის“ პრობლემების ჰარმონიზაციის გზების გარკვევა მოხდეს - ქრისტიანების, მუსლიმების, ბუდისტების, კრიშნაიდების და სხვა.

პატრიარქ კირილის და რომის პაპის შეხვედრა უეჭველად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა მარტო პოლიტიკურად. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია დიალოგი კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის, „ათასწლეულის დიალოგად“ ნოდებული. დროულად გვახსენდება რელიგიურ ლიდერთა მსოფლიო სამიტი, რომელიც 2011 წლიდან აღარ ტარდება. მისი აღორძინების საკითხი და ტრადიციულ რელიგიათა მსოფლიო ლიდერების ახალი შეხვედრების ორგანიზება უნდა გახდეს ნომერ პირველი ამოცანა ყველა მოქალაქის, ხელმძღვანელის და ყველა ქვეყნის დიპლომატიისათვის.

აუცილებელია უახლოეს დროს მოვუწოდოთ მსოფლიოს ყველა კონფესიის ლიდერს შეხვედრის და განიხილონ ომისა და მშვიდობის საკითხები. მაგალითად, პირველი შეხვედრა მონვეულ იქნას იერუსალიმში, როგორც ისტორიულად, ასევე

ჯიჲ: სულ სურ, ჩემო რაწიშია?

ისტორიის მწარე გაკვეთილები კვლავ გავიხსენოთ და გადავიტანოთ.

შეგახსენებთ, 1969 წელს ფილიპინებზე მომხდარ შინაურ კონფლიქტს, როდესაც უმცირესობა ლოზუნგით „ფილიპინური კოლონიალიზმის დამხობა“ აჯანყდა; 1960-იანი წლების შიდა არაბული კონფლიქტების შესახებ, რომელშიც ჩათრეული იქნა ლიბანი, რომელიც ანტიისრაელური პოლიტიკური ორგანიზაციების მოქმედების ცენტრი ხდება. 1975-76 წლებში სისტემატიური შეჯახებები უკვე სამოქალაქო ომში გადაიზარდა. არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი წლების განმავლობაში ყველასათვის ჯოჯოხეთი აღმოჩნდა.

ცალკეული რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაციაც გახშირდა, რაც იმაში ვლინდება, რომ ქვეყნების პოლიტიკურ ელიტებში გარკვეული კონფესიის წარმომადგენლები აჭარბებენ, რაც ხშირად სერიოზული მსოფლიო კონფლიქტების წყარო ხდება. ასე იყო ერაყში, სადაც ისტორიულად სუნიტური უმცირესობა ბაჭთონობდა, მაშინ როცა მოსახლეობის უმრავლესობა შიიტი იყო. მათ შორის კონფლიქტი 1991 წლის აჯანყებამდე მივიდა, ის ასევე 2003 წელს იქნა გამოყენებული, როცა სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაეცა, სხვა დაინტერესებული ქვეყნის (ამერიკა - ინგლისის ჯარები) მონაწილეობით. მაგრამ ახლა შიიტების დომინანტობა ხდება ფაქტორი, რაც პროვოცირებას უწევს სუნიტი ბოვეიკების ტერორისტულ მოქმედებებს. „ირანის თამაში“ მსოფლიოში გრძელდება, თუმცა იცვლის კონტურებს. 1980-1981 წლების ირან-ერაყის კონფლიქტში, რეგიონში ეკონომიკური დომინირების გამო, კონფლიქტის ოფიციალურ მიზეზად დასახელებულ იქნა რელიგიური - სუნიტების და შიიტების დაპირისპირება.

თუმცა ევროპაშიც რელიგიური კონფლიქტები სულ უფრო და უფრო ცხელი ხდება: კათოლიკეებისა და პროტესტანტების დაპირისპირება ჩრდილოეთ ირლანდიაში ხან მიწყნარდება, ხან ისევ იფეთქებს. სერბებისა და ხორვატების დაპირისპირებამ აჩვენა, რომ ეთნიკურად მსგავს ერთობათა შორისაც შესაძლებელია ეთნოსის გაყოფა განსაკუთრებით რელიგიური პრინციპების გამო.

ყველა ეს მტკივნეული კითხვა საშუალებას იძლევა მაღალი ხარისხის განსაზღვრულობით დარწმუნებით ვთქვათ: რამდენადაც გლობალური ხდება სამყარო, მსოფლიო კონფლიქტებში მით მეტად სერიოზულ მნიშვნელობას იძენს ფაქტორები, რომლებიც

დახმარებოდნენ იმის გარკვევაში, რომ მათი მომავალი არა სიძულვილში, არამედ მსოფლიოსთან თანხმობაშია. მოქალაქეებმა ვერ შეძლეს დახმარებოდნენ ამ მიტოვებულ ერთმორწმუნეებს ლოკით გადაეტანათ მძიმე გზის სირთულეები. ამიტომ შემთხვევითი არ არის, ალბათ, აგრესიის უკვე ევროპის ტერიტორიაზე ჩქაფუნის - ამის მაგალითია მასობრივი თავდასხმები ქალებზე, ძარცვა და ყაჩაღობა კელნში, დანარჩენ გერმანიაში. ლტოლვილები რუსეთ-ფინეთის საზღვარზე, მაკედონიის მისადგომებთან, საბერძნეთთან, დიდ ბრიტანეთთან არ იყო სათანადოდ ყურადღება მიქცეული არც ერთი რელიგიური ორგანიზაციის მხრიდან. სოციალური სამსახურის მოხალისეები ცდილობდნენ აღმოეჩინათ შეძლებისდაგვარად დახმარება ადამიანებისათვის, რომელთაც უბედურება გადაიტანეს, მაგრამ მათ მხარს არ უჭერენ რელიგიის წარმომადგენლები. არც ერთი რელიგიური დიასპორის ლიდერი არ იმყოფება ადამიანების გვერდით, რომელთაც ომის სამინელი დღეები გადაიტანეს და ეს არაადამიანური გრძნობები თან მოიყოლეს ევროპის ტერიტორიაზე.

ყველა საუბრობს მენტალიტეტის სხვადასხვაობაზე - როგორ, რა სახით უნდა შეძლონ ამ მენტალიტეტებმა თანხვედრა და თანაცხოვრება თუ არ არის რელიგიური თანხმობა, მორწმუნეებს არა აქვთ ლოცვები, ქრისტიანობის და ბუდიზმის არც ერთმა ლიდერმა არ აღმოუჩინა საჭირო თანადგომა ლტოლვილებს, არ შეუქმნეს მათ დროებითი სალოცავი კარვები, კონტინენტები?! თუ ეს მდუმარე უმოქმედობა - მსოფლიო მმართველთა ელიტის დაგვემილი აქციაა? შექმნილი სიტუაციის მთელი სიმწვავე ფესვებით მიდის რელიგიურ დასპორათა საერთო გულგრილობაზე მათ ერთმორწმუნეთა უბედურებისა და ტანჯვის მიმართ. არავინ ეხმარება ლტოლვილებს რთულ, აუტანელ პირობებში იგრძნონ თმენა, დაიწყნარონ თავიანთი მეამბოხე სული, შეძლონ მიაღწიონ უმფოთველობას და შინაგან აგრესიას თავი დააღწიონ მხოლოდ რწმენის დახმარებით.

ღირს გავიხსენოთ, რომ რელიგიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის დანიშნულება - ეს არის აზრების შემუშავება, რომელნიც ადამიანს შეაძლებინებს გაუგოს თავის თავს სამყაროში. რთული, მილიონობით ლტოლვილის ყოველდღიურად გართულებული სიტუაცია ქმნის ერთგვარ „ევროპულ უმოქმედობას“, რომელიც ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ რელიგიური ლიდერების მხრიდან, რომელსაც ერთმორწმუნენი უფრო სწრაფად

რელიგიურად მნიშვნელოვანი ადგილი სხვადასხვა კონფესიის ადამიანებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში რელიგიური ფაქტორის გამოყენება აუცილებლად უნდა დაეუპირისპიროთ ადამიანური ფაქტორი, რომელიც აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს რელიგიურ-ჰუმანურ დიალოგს. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შემუშავდეს რელიგიათა ასეთი დიალოგის სტრატეგია. მიმანია, რომ გავროს ბაზაზე შესაძლებელია მსოფლიო ორგანიზაციის შექმნა - „რწმენის მსოფლიო კონგრესი“, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ტრადიციებს, რომლებიც იმაზე უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე საერთაშორისო სამართალი დაამკვიდრებდა სტიქიური უბედურებების, დევნის, ომის მსხვერპლთა ჰუმანიტარული დახმარების ნორმებს. ჩვენ ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა აუცილებელია საკუთარი ხმით მოვუწოდოთ მსოფლიო რელიგიათა ლიდერებს დაუყოვნებლივ შეხვედრის, შემდეგ უკვე წელიწადში 2-3 ჯერ, რათა დღის წესრიგიდან საბოლოოდ მოხსნან შეიარაღებული კონფლიქტები.

დაე, ეს ჩვენი, ჯერ კიდევ „შეფუთული შესაძლებლობა“, ჩვენი სანუკვარი მომავალი, თუნდაც თავად დიალოგის დაყენება არ არის უკვე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისკენ, რომ ადამიანი XXI საუკუნეში ცხოვრობდეს და არა „იდგეს რიგში სიცოცხლისათვის“...

ჩვენი სულიერი, გულითადი სამოქალაქო აქტიურობა, სინდისით ნაკარნახევი, დაგვეხმარება მოვკლათ ომი, ამოვშალოთ ცნობიერებიდან არანებადართული სურვილი, შურისძიების და სიბოროტის პირქუში გრძნობა. - მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ სუვერენული გულითადობითაა შესაძლებელი. პატივცემულო თანამოქალაქენო, მოდით შევეერთოთ ჩვენი მოყვარული გულები და სიცოცხლის დღესასწაულით მივაყენოთ ომს და სიძულვილს სასიკვდილო დარტყმა. ადამიანი უფლის ხატი და მსგავსია - როგორც ის არის ჩვენთვის შემწყნარებელი, ჩვენც ასევე უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ.

მოყვასისადმი სამსახური ხომ მსოფლიოს ყველა რელიგიაში ყოველთვის ადამიანის სიცოცხლის აბსოლუტურ ღირებულებას ეფუძნებოდა.

ალექსანდრა პოტიომკინი
საქართველოს მწერალთა კავშირის
საპატიო წევრი
ქ. ზუგდიდი

საქეცავი-საოცროების „არ ღამივინყო“ ჩემუდი გაგება...

მეგონა, ვის რითი უნდა გავეკვირვებინე მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენელი – ქართული კლასიკური მწერლობით? ეროვნული მეცნიერებით? ქართველი ახალგაზრდა მამულიშვილების დისიდენტური სულით? ქართული სპორტით? ქართული ხელოვნებით... თუ განსაკუთრებით ქართული თეატრითა და კინოთი?... მაგრამ არა და არა!

... წარმოუდგენლად ემოციური და მაქსიმალისტი ვარ... 2015 წლის 24 დეკემბრიდან ჩემთვის ისედაც უდაბაშულესი სამყარო, მოჩვენებითად კი თითქოსდა „ყველაფერს შეგუებული“, აიჭრა, ათუხთუხდა, აირდაირია! ზოგჯერ ძილიც გამიკრთება და ირეალურ სამყაროში ვარ!...

რატომ? ამ დღეს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვიყავი. ვნახე კლასიკოსი მწერლის რევაზ მიშველაძის სპექტაკლი „არ ღამივინყო“. ამ დადგამაზე უკვე დაინერა და მჯერა, ამ ამოუწურავ თემაზე მრავალჯერ დაინერება! მაგრამ ვერც მე ვითმენ და... „შეგებდავ“, თუ „გავებდავ“ ჩემი შთაბეჭდილებებიც გადმოვცე.

.. თან მქონდა წიგნი „არჩილ მიშველაძე – 20 წლის გმირი“. ეს წიგნი ჩემი თანამდევნი სულია! 1995 წლიდან, გამოცემის დღიდან – იგი ჩემს სასტუმარს არ მოსცილებია! ჩემი ულამაზესი, სამასი არაგველის სადარი ვაჟკაცი, ჩემი უსახელო უფლისციხელი, ჩემი ნასტუდენტარი, ჩემი შვილის თაობის ჭაბუკი, ქვეყნისათვის თავდადების სიმბოლოა! რამდენი დაინერა მასზე და... მაგონდება:

„უდროოდ წასვლას როდი მივტირო, იცოდეს ღმერთმა, ჩემს თავს არ ვნანობ,

მე მიხარია, მერგო სიკვდილი ჩემი ღამაში სამშობლოს გამო“.

წიგნი ჩახუტებული მაქვს და შეეყურებ სცენას...

...მიყვარს, ძალიან მიყვარს გაზაფხული... სიცოცხლე ფეთქავს... როგორ აყვავებულა ალუბლის ხე... რკინიგზის სადგური... „წუთისოფლის შვილებს“ მიგვიჩქარია... მატარებელიც ჩამოდგა... ისევ წარსული... მე და აჩიკო, პატარა ცისფერთვალეებს, მატარებელითაც რამდენჯერ გვიმგზავრია! ის პატარა ბიჭუნა დღეს გმირია! ვერ ვუძლებ, დავიბენი... მისი როლის შემსრულებელიც იმდენად ჰგავს ჩემს უსაყვარლეს გმირს, სუნთქვა შემეკრა... რა ვქნა? ნავიდე? – არა და არა! უნდა გავუძლო! აკი გვაფრთხილებენ – „არ ღამივინყო!“ მამამისის, რევაზ მიშველაძის, ნოველები – „სიზმარი“, „ოცი წლისანი“, „პავლო“, გაყინული დრო“... ერთად შემოდის სულში... თითქოს მეც ბაქანზე ვდგავარ და ჩამემსის: „ცოდვა ხარ სიკვდილისათვის, ძალიან ღამაში ხარ, სამუდამო ღამისთვის არ მემეტები ოცი წლის ბიჭი, მამიკო!“ დარბაზისკენ არ ვიხედები, ვაი თუ, დედამისის თვალებს ნავანყდე?! როგორ შევხედო? რა ვუთხრა? რით დავამშვიდო? მერა რა?... დიდი დრო გავიდა? ეს დრო მარადიულია, დაუფინყარია! აქ დროის ათვლა არ არსებობს და წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი სცენაზე

ხდება! სპექტაკლის ავტორიცა და რეჟისორიც საოცრებას ახდენენ!

ეჰ, ქვეყნად უყურადღებობამ, გაუცხოებამ, გულგრილობამ და ისადაგურა. ეს უკვე განუკურნებელი სენია, „საზოგადო ჭირია“. „გულმოკლე პატრიოტები“ გავხდით. უგრძობლობის გზას ვადგავართ!

„მკვდარია უგრძობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა... ..ისე მოკვდება, ვერ შედგეს ერთ წამს ტრფობისა მთაზედა... საზარელია დადგომა უგრძობელობის გზაზედა“.

(ვაჟა)

არც სამშობლოს დაცვისას ომში დაღუპული გმირები გვახსოვს და არც ღრმად მოხუცი, მაგრამ „ტრფობის მთაზე“ შემდგარი, აფორიაქებული ქვრივი ქალი, რომელსაც ომში წასული ქმრისაგან ერთადერთი დეპეშა შერჩენია... დაეძებს ამ დეპეშით, მაგრამ მისი სულის ფორიაქი ვის ესმის, ვის აინტერესებს?! არა და... როგორ სჭირდება თანადგომა, სითბო, მოფერება, თუნდაც მოჩვენებითი! ვის ახსოვს რაჭველი მეჯობე კარზე გენაძე? ის თავის კუთხეს არც და ვერც დატოვებს... და, როგორც ხდება, თავისი შვილებისთვისაც ე. წ. „ზედმეტი ბარგია“. რაო? არ გეცნაურათ?! რომელია ჩვენთვის უცნობი?! რაო, ლიტერატურული პერსონაჟები არიან?! გულში მაინც ჩავიხედოთ, რამდენ ნაცნობ სახეს დავინახავთ!

აი, მძიმე სენით დაავადებული ქალბატონი ნელი, რომელიც არავის ახსოვს, არავის სჭირდება, სასწრაფო დახმარების პერსონალსაც მოზღვრებია!... „ნებისმიერი ტელეფონით“ გაცნობილი, ჯერ კიდევ ადამიანობაშემორჩენილი გოჩა თანაუგრძობს! მაგრამ ვის ესმის გოჩასი? არც არავის!

აქ მახსენდება ერთი ქართველი ხელოვანის სიტყვები: „სიყვარულის სული დაიკარგა სამყაროში, გავპროზაულდით. სულიერი ინტონაციების სამყარო, რისთვისაც შექმნილია ადამიანი, გაყურდა. ჩვენ დაყრუებულები უკვე ვართ, გვაკლია დაბრმავება“.


ეს არის სპექტაკლი საოცრება! პიესის ავტორი რევაზ მიშველაძე და რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი ჩემთვის და ძალიან ბევრი მაყურებლისთვის წლის თეატრალური გმირები არიან.

დიდებულია მსახიობთა დასი, შეუდარებელია მხატვრული გაფორმება, მუსიკა, ქორეოგრაფია.

... და მაინც... ჩემო საყვარელო მაყურებელო, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ჩემო რჩეულო მწერალო, ჩემი მოგვარის დიდებულო ახალგაზრდა რეჟისორო, „გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით“, ჩემს უსაყვარლეს გმირებს, ჩვენს უსახელო უფლისციხელებს, საქართველოსთვის თავშენიერულებს მინდა ვუთხრა, თქვენ დავინყება არ გინერიათ სამას არაგველთა ჟრიალულში... ხერხეულიძეთა ყიჟინაში“...

„არ ღამივინყო?!“ – თქვენ ჩემი მარადიული საქართველოს მზე და იმედი ხართ!

დედა და ბებია, თქვენზე მლოცველი, თქვენი მამაა რომაპა



შოთა კობიაშვილი

რატომ ჭკნებიან

რატომ ჭკნებიან ყვავილები, ასე მალე რატომ ჭკნებიან?! მარადიულად იცვლებიან როგორც დღეები, მშვენიერების მარადიულ გრძობას ბადებენ, ხსოვნას ტოვებენ ნაზს და ნატიფს, მაგრამ სევდიანს... რატომ ჭკნებიან ყვავილები, ასე მალე რატომ ჭკნებიან?! სად ქრება მათი სილამაზე, სწრაფვა მზეებრი, ვინ ნთქავს მათს ფერთა ელვარებას, ასე ვნებიანს?! სასიხარულო რაა, მართლაც, სიმარტოვეში... რატომ ჭკნებიან ყვავილები, ასე მალე რატომ ჭკნებიან?! დღე გვაძლევს სწრაფვას და სურვილებს მრავალფეროვანს, მაგრამ კი გეტაცებს დაუნდობლად სატრფოს, მეგობარს... ო, რა კარგია და რა მწარე შენი მინდობა, ო, რა მძლავრია ეს ტკბილ-მწარე ურთიერთობა.

რატომ ჭკნებიან ყვავილები, ასე მალე რატომ ჭკნებიან?!

ცაზე მთვარე ნათობდა, ვარსკვლავები ღვიოდნენ, ბნელს სარდაფში სციოდა, ფერნი მიმოდოდნენ; რუს ფერს ცვლიდა ცისფერი, ცისფერს სხვა ალიონი; ვილაც სულს იბრუნებდა, ვილაც სუსტად ფეთქავდა... ნუთუ სადღაც განათდა თუ რაღაც მომელანდა?! ჯვარი იდგა ამაყად, ხის ქვეშ ჩრდილი იძვროდა, გულზე მინა ეყარა, იქაც ვერ ეტეოდა... ვილაც მწარედ გოდებდა, ვილაც მწარედ ჩიოდა. კლდესთან იდგა ქალწული, დაბლა ხევი ხვიოდა, იქ, მდუმარე ლოდებში, ქარები გასწიოდნენ. გზაზე ბევრი თოვლია, ზარებს რეკავს სიონი, უთქვას ასხივებს ვარსკვლავი, უთვალავ მილიონი, სულს სწაღია სინაზე რაღაც მარადიული.

მათხოვრები

სასახლეში კმაყოფილებს უთავბოლო ღმინი აქვთ, გარეთ ისმის მიბნედილი: – დამეხმარე, ბიძია!.. – დამეხმარე, ქალბატონო!.. – დამეხმარე, ბატონო!.. ვილას ახსოვს მხიარული დღენი სანაგარდონი... – დამეხმარე, ჩემო შვილო, შენ დაგლოცავს უფალი!.. თავზე სანყლებს აწვიმთ, ათოვთ, – ვინ შევლის მიუსაფრებს?! სასახლეში კმაყოფილებს უთავბოლო ღმინი აქვთ, გარეთ ისმის მიბნედილი: – დამეხმარე, ბიძია!.. ის ისეთი პატარაა, ისეთი სათუთია... ო, ასეთი სულნატკენი გარეთ ვის გაუგდია?! ხელგანვდილი ქუჩა ყვირის: – დამეხმარე, ბიძია! ნეტავ მას ვინ ეფერება, ვინლა ესათუთება?... ქუჩის მტვერში გახვეული

ცვდება ბავშვის უფლება. სხვები ბჭობენ: – ეს ახალი, სულ სხვა საუკუნეა... ჩემს საყვარელ სამშობლოში, დედავ, რა უკუნია!

თითო ღრუბელო

საით მიინე, ჩემი ქვეყნის თეთრო ღრუბელო, იქნებ გაგვანდო, მზის სხივებს რას ესაუბრები, რისთვის გამლილხარ ფიგურების მრავალსახეზად, სად გადაჰკვრიათ სახურავებს ფერი ძახველის. მოლოდინია ჩემში თეთრი იდუმალეების, მოუხელთებელ ველურ ზრახვას ის თუ მანებებს, დაჭიმულია ცის ლაჟვარდზე სხივი სიმებად და იმ სიმებით სივსივებენ კლავისინები. საით მიინე, ჩემი ქვეყნის თეთრო ღრუბელო, საით მიილტვი, რა გაქვს გულში დანაგუბები? დაგექარება იმედების ყველა ძაფები და ნისლიანი ხვეებიდან ამოდულდები.

ოქროს სანმისი

ვინ გაიტაცა ოქროს სანმისი? ვერაგ იაზონს რატომ რგებია? კოლხეთს რომ სისხლის წვიმა აწვიმეს, მათთვის ცრემლი ვის მოუწმენდია? დღეს მოსციდეს კომედიათი, მათი აზრების მონად ქცეული, გამოიყენეს ყალბი თეატრი და მთელი სცენა დაასწულეს. დღეს იღველფება მინის შიგანი, დღეს თხრიან, კლავენ, სპობენ, ამხობენ, დღეს პატივშია ცოდვა სხეულის და სულიერი გაპარტახება. აქ არტახებში რად გამოუკრავთ მარადი სული ჩვილი ბავშვივით? ამ ბავშვს ნათელი მზერა ჰქონია და მტარვალთათვის მეტად საშიში. ვინ გაიტაცა ოქროს სანმისი? ვერაგ იაზონს რატომ რგებია? დღეს თავში სცემენ უკვე მასპინძელს, ვით უნდო სტუმარს, ისე ხვდებიან.

დღეს ჩემი თავი ცირკში მგონია, სად ილუზიის მეფობს ზეიმი, ვისმენ სიცრუის კაკაფონიას და ზეობს შეპუდრული სეირი. როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი? როდემდე უნდა მივყვეთ დინებას?! ურცხვად წარგვტაცეს ზღაპრული ნავი, ღმინს აფრქვევენ ყალბი ზრდილობით. როდემდე უნდა ვხუჭოთ თვალეები სიზმარმთვლემარე ქალიშვილივით? მზედ ვალიაროთ ყალბი კომეტა?! როდემდე გვხრავდეს დარდი ჩრჩილივით?!

როდემდე ვვლიდეთ ხელისფათურით, თვალეებში ნაბუქ-ნაცარმეყრილი?! როდის მივხვდებით, რომ მათი ფრთები ცვილით ყოფილა თურმე შეკრული?! როდემდე უნდა მივყვეთ დინებას?! როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი? ვით ვალიაროთ ჭეშმარიტებად, ჭეშმარიტება რაც რომ არ არის?!

ჩვენ

ვისჯებოდით

ჩვენ ვისჯებოდით, რადგან, ძმებო, ვიცავდით მამულს, გვიყვარდა იგი ვაჟკაცურად, თავზე ძლიერად; ჩვენ ვისჯებოდით, რადგან, ძმებო, არ ვცნობდით სხვა გულს, მშობელი დედის გულეების გარდა; ჩვენ ვისჯებოდით, რადგან, ძმებო, ვეტრფოდით მამულს და სისხლით მორწყულ ციხე-ბურჯებს სხვას არ ვუთმობდით. აქ მოდიოდნენ, იტაცებდნენ და ვერ ძლებოდნენ... ჩვენ ვისჯებოდით, რომ ვიყავით ბედის ურჩები.



მიმოზა ცანავა

სიყვარულის მზის გვირგვინი (პოემა)

მე შევეჩვიე უშენობას, აკვამლებულა სიყვარული და შემსასავით შიშინებს გული. რამ შეგაშინა? გულახდილად მინდა, რომ გითხრა, მიახლოვდება გზის დასასრული. შენ კი არ ჩანხარ, შემომათენდა ფიქრთან ჭიდილში, გულზე ურდულად დამედო დარდი, როგორ გავლიე უშენოდ წლები, როგორ მიყვარდი! სულს შემოაცვდა გლოვის პერანგი და გაშიშვლებულს მაცახცახებს ბელურას გულით, ვერ ამიხსნია, დღემდე ვფიქრობ, ვით გამიმეტე, რატომ მარგუნე დაცრემლილი დღის დასასრული.

სევდის ცივ მარცვალს შავბნელ ღამეში შეშინებული ჩიტივით ვკენკავ, ატმის რტოები დღესაც მაგონებს შენს გაშლილ მკლავებს, და ღამის არის დარდის ქარით სუნთქვა შემეკრას. რად მებრალედა ნასათუთარი დღეების გროვა, შენ ვერ გაბედე ჩემთან მოსვლა, მაგრამ მე შენთან უთუოდ მოვალ! მოვალ, მოგიტან შროშანების მშვენიერ გროვას, მერე უშენოდ გატარებულ დღეთა ჯვარზე სულმოუთქმელად მოგიყვები, ვით დამათოვა.... მერე? მერე მოხდება სასნაული, გავხდებით ერთნი და ჩვენს ვედრებას უსათუოდ შეისმენს ღმერთი!

ჩვენი სულები ედემის ბალს შეერწყმება წკანწკარა წყაროდ, ნუთისოფელში დავიტიანჯეთ და იქნებ იქ, იქ გავიხაროთ! ამ ღია ცის ქვეშ ენძელებთან დავიდოთ ბინა, დაგვეხურება საბნად ზეცა, თუ ჩაგვეძინა. გვირილები კი მოგვიქსოვენ მზისფერ ხალიჩას, ოი, იმედის ნაპერწკალი ხედავ? გამიჩნდა, ნუ გეშინია, ქარი ყველა ტკივილს წაიღებს, გვედრებ უფალო, მოწყალეობა კიდევ გაიღე! სიყვარულის მზე ჩამისახლე გულში იმედად, ნამმა გამწირა, მაგრამ რწმენამ დამაიხედა. მონყალე თვალით გადმოხედე, ზეცავ ნათელი, ოცნება მაინც დამიტოვე და არ გამთელი! გაპობილ ბაგეს შეაგებე სიტყვა ვინ მყავხარ, მთელი სამყაროს გასაგონად მითხარ მიყვარხარ! რომ კიდევ ერთხელ აგიზგიზდეს ბუხარი----გული, შემომენთე და მაქციე ცეცხლად, კვლავ მოკრძალებით მომახურე რწმენის მანტია, გლოვის პერანგი რამდენი წელი ვატარე, მეცვა.

მე სიყვარული ტაძარი ვარ, შემოდი ჩემში, ნუ გეშინია არ ჩამქრალა სანთელი გულის, და დამენაფე, როგორც წყაროს წყურვილის მერე, დედამინაზე უფრო დიდი საგანძური აღარ მეგულვის! ჰო, სიყვარული, ჩემი ყრმობის ყირმიზა ვარდო! დღესასწაული მაჩუქე ტრფობის, რომ კიდევ ერთხელ ცისარტყელად ვაქციო სული, რომ კიდევ ერთხელ მომიმრავლდეს დღეები ტკბობის! დაგელოდები, სულწასული არა ვარ ხედები, გულის კარები ღიად დავტოვე, კიდევ დაგიცდი, კიდევ და კიდევ, უუსასრულოდ, ჩემს სულგრძელობას უმადლოდე, კიდევ გადროვებ!

შენ გელიმება სიყვარულო, (რა დროს ეგ არის) და რად გგონია, რომ შესძელი ჩემი ნაქცევა, ჰო, მართალია მათევინე თეთრად ღამენი, ჩემი ვარამიც ხომ ერწმოდა თითქოს ცას ცრემლად. მაგრამ სიბნელეს მზის სინათლე ცვლიდა ნიადაგ, და სხივთა კონას მიმზადებდა მზე თაიგულად, ველარ ნაშალა უნდობლობამ ნდობის ბარათი, და ახლა ვხვდები რად აეფარა მზე სიყვარულის ფარად სულს თუ რად?! შენ მზე ხარ სულის, სიყვარულო, ამზევებულო, დღემდე შემორჩი ჩემს საუფლოს, ელვა, ვით გრგვინვა, შენი თაკარა ჟრუანტელად მივლის და მათბობს, ღამაზ სიყვარულს მზის სხივები ადგას გვირგვინად!

გფუთე და გფუთე სიყვარულო, შემოგინახე შემოდგომის მირჩენილ მტევნად, შენი ბადავით ჩავიტკბარუნე სული მდულარე, რად გაყურსულხარ, რად მინავლდი, ჩემო კეთილო, ხანდახან თავი შემახსენე, როგორც სტუმარმა, თორემ გაძარცვეულ ზამთრის ბაღებს---- შეცივუნულ ხელებს მკვდარი ჩიტივით გაჰყინვით ძარღვები ხედავ? ეხ, სიყვარულო! საბადავოდ გაძუნებულხარ, რად გემეტება ჩემთვის მარტო დარდი და სევდა! მე ვერასოდეს დაგივიწყებ! შენი სურნელი დღემდე მომყვება და ძალას მაძლევს, რა შეუქმნია მარადისი ნეტავ ბუნებას, მე რწმენა შემრჩა, ამ რწმენით გავძლებ! შენ ნალოდინარ თვალეში სხივად ჩარჩენილხარ და ხანდახან ელავ! ხან რა უხვი ხარ, რა კეთილი, შენ შეგიძლია სუყველას შევლა! ეს დედამინა აქციო ბაღად, დღესასწაული მოგვიწყო სულის, თუ ისურვილებ ფრთებსაც შეგვასხამ და აგვისრულებ უმაღლე სურვილს! მაგრამ ჰო, მაგრამ გაჯიუტდები, თავად არ იცი ,თუ რა გახარებს, მოიქუფრები, ვით ღრუბლის ფთილა, წყენით წამწამებს დაახამხამებ. ჩაიკეტები საკუთარ თავში, არ გსურს ბაასი არავისთან, ქშინავ და ქშინავ, მერე ცრემლებად გადმოიღვრები და ისე უმალ შეცვლი ხასიათს, ვერ ვხვდებით ვინ ვართ, ხანაც უეცრად გამოიდარებ, დაემსგავსები მოკისკისე ცას, შენ რაც არ უნდა მიქნო მოლტი ველარ წამაქცევ, შენი სხივების ისევე ისე მწამს!

ჰო, სიყვარულო, სხივთა გვირგვინი შემოგინახავს, გვეთამაშები, ხანაც ურუმრად სხივებს გააქრობ, ხანაც სავესე გაქექს სხივით თასები, შენი სხივები მძივად ავიძიე, ხან ყვავილების კონად შევეკარი, ხანაც გვირგვინად დავიდგი თავზე, გაგულისხმი და ხელი შენ მკარი, ველარ მოგიღებ გული ვერაფრით, ვქარგე და ვქარგე თბილი სიტყვები, დრო-ჟამის მიერ დაგროვილ წვიმად, გადმომელვარა ცრემლის მდინარედ, შენთვის სათქმელი, ახლა გიყვები. შენ მინოლილხარ ატმის რტოებზე, გვირილებს კრძალვით უსწორებ კაბას, არც ენძელებთან რჩები ვალში და წამებს ლოდინით ძაბავ და ძაბავ! რა ტკბილ-მწარე ხარ შე, დალოცვილო! აინყვიტე და მომხვიე ხელი, მე მზის გვირგვინი შეგარქვი ხედავ? და მზის გვირგვინად ისევე გელი! წლები გაშინებს? ნუ გეშინია, წლებმა ფერებით გფუთა და გფუთა, სიყვარულს თურმე დრო- ჟამი არ აქვს, ეს მე კი არა ერთ ბრძენ კაცს უთქვამს.

მე ტაძარი ვარ, დიდი ტაძარი ერთგულების და შემოდი ჩემში, ნუ ჩაგაფიქრებს დროებითობა, თორემ ქარ-წვიმა ყველაფერს შეცვლის! მოდი, გაბედე შე, ღვთისნიერო, ხედავ? სამყაროს ცა ბედს მიენდო, ერთად ვილოცოთ და ერთმანეთი შევიყვაროთ და ვაბედნიეროთ! მომწყინდა მარტო, ამიტომაც გამოგიგონე, ფრთები შეგასხი, ასფრენად მზადა ხარ უკვე, მოგიტევე და მაინც გინამე, ჩემს უთქმელ სევდას შენ ვერ გაუგე. როგორც ცუნამმა გამაცამტვერე, გულ-ღვიძლი ურცხვად ამომაცალე, და მატრიალე, ვით ქარ----ბორბალა,

წელ-ინადები მწვი და მანვალე. ხან შენი ბრჭყალით მეცი, გამგულე, მერე ეცადე, სული ჩამბერე, და ასე ნაბიჯ- ნაბიჯ ვიარეთ გადამათეთრე და დამაბერე.

თუმცა სიბერეს ჩემთან რა უნდა, ხედავ? ვახარე სულში ვარდები და გაზაფხულად მექცა სამყარო, კვლავ ავენთები, შემეყვარდები. ერთი პატარა ასანთის ღეროს ხელი ჩამოჰკარ, ჩემო პრინცესა, ვინ მოიგონა, სად გაგონილა, და ან კანონი ვინ დამინესა. სიყვარულს თავისუფლება უყვარს, ბორკილს ვინ ადებს სხივთა ამაღლას, ვინ მოიმწყვდია მზე ხელის გულში, ის სულ ასხივებს, ველარ დამალავ სულის ფიალა ამესებია და დღემდე მთვრალი ვარ, ნაბარბაცევი ამტკივდა მხრები, მაგრამ არაფრით არ ვნებდები უიმედობას, რა ვქნა მითხარი, სიყვარულო, მე ხომ ქალი ვარ! ამ სანუთროში მოცახცახე მწვანე ფოთოლი, მაინც გენდობი და მიხარია შენთან შეხვედრა, მეჩურჩულები, ვით ნაზი სიო გულჩვილ ყვავილებს, ნუ გოცდები, სასალბუნოვ, შენზე აუცი გულს ვერ გავივლე.

მართლა მიყვარხარ, სიყვარულო, შე, მზის გვირგვინო! იქნებ აყვავდე უცაბედად, იქნებ აყვავდე და მინდვრის მწვანე ბალახით დაიბიბინო! წელიწადები არ მებეგრება, უშენოდ მხოლოდ ცივი მინა მომეფერება, მონყენილ სულში მოლაღურები ლულავს თვალებს და უშენოდ შავი უკუნია მთელი სამყარო მე სულ გეფერე, მზის მანდილი გიქსოვე თავშლად, ხომ შეგიძლია შენც გამახარო!

ვხედავ ყინულის დედოფალი გამხდარხარ და მუშტებს მიღერებ, უუსაშველო სიჩუმით მახრჩობ, მაინც ხომ ხედავ მე ქალი მქვია პეპლისფრთიანი, უშენოდ ყოფნას, სიყვარულო, სიკვდილი არ სჯობს?რად ახარხარდი, სიყვარულო, რა.....გამომცადე? ახლა აპრილის აფეთქებას დამსგავსებხარ, აყვავებია ეგ ტოტები, დამშვენებულხარ, ასე მგონია შენი სიმალლით ამ ცას სწვდები ხან. რად დაიმორცხვე, მე მერამდენედ მოგიპატიჟე, ულამაზესი საქორწილო დღენი მოგიწყე, შემომიბრუნდი, მზევე კეთილო, შენ თუ ვერ ბედავ, მე გავბედავ და კიდევ მოგიწევ!

მწვავს სიყვარული, შენთა სხივთა მხურვალეობა და შენგან ნატურჩარს ამფაკვლია ლოყა ვარდულად, ჩვენი შემყურე სავესე მთვარე გალიმებულა, ყოველი ნაკვთი ავესებია და გაბადრულა. ღამის სიჩუმე ნაჩურჩულევე ლოცვებს გვახსენებს, სტვენენ ჩიტები სიყვარულის ღამაზ სიმღერას, შემომათენდა, სიყვარულო შენთან ბაასში, პატარძალივით ყელი მუზამ კვლავ მოიღერა. არ გაპირქუშდე ,სიყვარულო, გემუდარები, გამიდარდი და დამიმშვიდე სული ეული, მე პეპელა ვარ სიფრიფანა ფრთებით ქარგულით, ამ სანუთროში მოვლენილი ნაზი სხეულით, ჩემი სიტყვლე, უმწეობა ჩემი ხვედრია, და შენც ხომ ხედავ წმინდა გრძნობის მქვია მსახური, ამოთინათდი, სიყვარულო შე ბედნიერო, შენი სხივების მზის მანტია მხრებს მომახურე. თუნდ დაგიჩოქო , გამოვლადრო ყელი ვედრებით, შენ თუ არა გაქვს სურვილი, რომ სული გაათბო, ვერ მოგაბრუნებ ველარაფრით, გულს ვერ მოგიღობ, პეპელასავით დაჰფარფატებ დავით დანათმობს. რჩეულთ ხვედრია, სიყვარულო, სტუმრობა შენი, რა გულუხვი ხარ, რა კეთილი, დღე-სასწაული! ზოგს სულის მოთქმას აღარ აცლი, ქარს ემსგავსები, გაივლებ და უცნობივით გვერდსაც აუვლი. ნამინისძვრალ სულს აღმაცერად დაუნყებ ცქერას, ეგ გულცივობაც ცისიერო, შენი ხვედრია, მაინც მიყვარხარ, სიყვარულო, ავით და კარგით, ყოველი დღისთვის შენი თვალი შემხიხედა. მთელი სამყაროს გასაგონად ვიყვირო მინდა, რომ არასოდეს არ ვიქნები უშენოდ მშვიდად. შენგან მოძღვნილი მზის გვირგვინი თავზე მახურავს, უფლისმიერო, გთხოვ მიგულე ერთგულ მსახურად!

წიგნი, რომელზეც ამოკალი თაობები უნდა იზრდებოდნენ

ამბობენ, ყველა ადამიანი ისტორიაა, რომელიც არც ერთ სხვას არ ჰგავს. ვინ იცის, ეგებ მართლაც ასეა...

1942 წლის 4 აპრილია. ადოლფ ჰიტლერი დავლეს აძლევს გერმანიის არმიის სარდლობას, ძირითადი ძალები სამხრეთით, კავკასიის ნავთობის საბადოების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მდიდარი რაიონების დასაპყრობად და კავკასიის ქედის გადასალახავად გადაისროლონ.

და აი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ქრისტინე ხარშილაძე ლეზულობს გადარჩევისთვის, დატოვოს უნივერსიტეტი და საკუთარი განცხადებით მოხალისედ წავიდეს ფრონტზე. ქრისტინე 415-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკში ჩარიცხეს პროექტორისტად, რომელიც თითქმის ერთი წლის მანძილზე იცავდა დედაქალაქს მტრის თვითმფრინავების თავდასხმისაგან. 1943 წლის სექტემბერში 415-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკმა დატოვა საქართველო და დასავლეთის ფრონტზე გადავიდა. ხოლო 1945 წლის მარტში დაევალია მონაწილეობა მიეღო ქ. ბრესლაუს გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. სწორედ ამ დროს უმეტესად ქრისტინეს ბედმა, დაიჭრა ქვემო კიდურებსა და ლეიძლის არეში. მას ახსოვს მხოლოდ, რომ ხოხვით ძლივს შეაღწია ერთ-ერთი ახლომდებარე სატვირთო მანქანის ქვეშ, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, არ იცის, რადგანაც დაკარგა დიდი რაოდენობით სისხლი; არ ახსოვს, როგორ გადაიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია. ერთი თვის მკურნალობის შემდეგ, ქრისტინე კვლავ დაუბრუნდა თავის ნაწილს და განაგრძო ბრძოლა ფაშისტური დამპყრობლების წინააღმდეგ. 9 მაისს მან მტერზე გამარჯვება იხილა.

1945 წლის აგვისტოში ომგადახდილი, მრავალჭირგამოვლილი, საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული ქრისტინე ხარშილაძე საქართველოში დაბრუნდა. წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უანგაროდ ემსახურა მომავალი თაობების აღზრდის საქმეს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №1 საჯარო სკოლაში. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მიღებული აქვს: საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდება, დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი, ხალხთა მეგობრობის ორდენი, ღირსების ორდენი და ა. შ.

ქრისტინე ხარშილაძის დაბადების მე-80 და 90-ე წლისთავზე გამოიცა წიგნები: თბილისიდან ბრესლაუმდე, რომლებიც ნათლად ასახავენ მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას. 2014 წელს, 92 წლის ასაკში ქრისტინე ხარშილაძე გარდაიცვალა. გასულ წელს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №1 საჯარო სკოლაში ქრისტინე ხარშილაძის სახელი მიენიჭა, რომელიც დიდი ზემოთ აღინიშნა. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით რევზა მაჭარაშვილის მიერ გამოიცა შესანიშნავი წიგნი „ზნეობის გაკვეთილი“, რომლის შესახებაც მივანოდეთ მკითხველებს ინფორმაცია ჩვენი გაზეთის საშუალებით (2016 წ. №1). ამჟამად გთავაზობთ ცნობილი ადამიანების რეცენზიებს ამ წიგნზე.

მანანა გორგიშვილი

წიგნში „ზნეობის გაკვეთილი“ წარმოდგენილია ქრისტინე ხარშილაძის მიერ განვლილი უაღრესად რთული, მაგრამ ამავდროულად ნაყოფიერი და სამაგალითო ცხოვრების გზა. საყურადღებოა, რომ თავისი ღრმამზინარსიანი ცხოვრებით, შესაძლებელია შრომისმოყვარეობითა და მაღალი პროფესიონალიზმით, იგი სიცოცხლეშივე იქცა მისაბამ მაგალითად, რასაც მოწმობს მასზე დანერგილი წიგნები და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიები.

მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ ქრისტინე ხარშილაძემ მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება, გული და ენერჯია დაუზოგავად მიუძღვნა ათასობით მოზარდის სწავლებისა და ქვეყნისათვის საჭირო ადამიანებად აღზრდის საქმეს. აღსანიშნავია, რომ მისი ცხოვრების მანძილზე ერთ მცირე პაუზასაც ვერ იპოვებ; ვერ მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა დადგა დღის წესრიგში, ხოლო შემდეგ - სწავლა, ოჯახი და ქვეყნისათვის სასარგებლო შრომა.

„ზნეობის გაკვეთილი“ ეს არ არის იოლად წასაკითხი წიგნი. იგი ცრემლითა და სისხლით სუნთქავს და არცაა გასაკვირი, რადგან 40-ანი წლების ახალგაზრდა თაობამ თავისი მხრებით ზიდა დიდი სამამულო ომის ბრძოლების მთელი სიმძიმე. წიგნი დანერგილია მიმზიდველი ენით, ემოციურად. აშკარად ჩანს, რომ ავტორი თავადაა უდიდესი განცდებში წერისას. და თუ ყურადღების მოუდუნებლად გაჰყვებით მას, თანდათან შეიჭრებით იმ სამყაროში, რომელსაც სახელად უკვდავება ჰქვია და საიდანაც აღარ გინდა გამოხვიდე. გინდება სურვილი, მასში გადმოცემული ამბავი, ყოველი დეტალი, ღრმად ჩაიბეჭდო გონებაში, რათა მარად გახსოვდეს.

ყველა ქართველი კაცის ოჯახში უნდა იდოს ეს წიგნი, ისე-

ვე როგორც „დედა ენა“. მასზე მომავალი თაობები უნდა იზრდებოდნენ, თუ გვინდა, რომ ქვეყნისა და მშობლებისადმი სიყვარული და პატივისცემა ისწავლონ ცხოვრებაში. ასეთი წიგნები მართლაც რომ არასოდეს კარგავენ დიდ საგანმანათლებლო მნიშვნელობას.

წიგნიდან აშკარად ჩანს, არა მხოლოდ ერთი ქართველი ქალის მიერ განვლილი სამაგალითო ცხოვრების ისტორია, არამედ უფრო მეტიც: იმერეთის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში არსებული სუფთა, სუბტაკი ქართული ოჯახი, სადაც მეფობს არა ფული და შემოსავალი, არამედ - სიყვარული, ოჯახის ნვერთა ურთიერთდაფასება და პატივისცემა.

რა მრავლისმეტყველია წიგნში მოთავსებული ფოტო, (საიდანაც გვიცქერიან მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, რომელთაც



ათეული წლები უცხოვრიათ ერთად), რომელსაც ამშვენებს წარწერა: „მთელი ცხოვრება ერთად“. აი, კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა იყო ყველა ოჯახში ეს წიგნი. აი, რა გეტყვივა დღეს ყველაზე მეტად.

და ბოლოს: სულითა და გულით მივესალმებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ მართლაც საშვილიშვილო, ღირსეულ, ჭეშმარიტ და სასიქადულო გადარჩევისთვის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის არსებული ამ უძველესი (კოდნის ტაძრისათვის, მეტრძობი, განათლებული, დამსახურებული და ყოველმხრივ ავტორიტეტული ქალბატონის - ქრისტინე ხარშილაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

თამარ ჩხეიძე, რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და სხვა მრავალი პრემიის ლაურეატი.

თამარ ბაბლუანი, კინორეჟისორი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

გუგა ხოტივარი, კინორეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენს დროში მეტად საჭიროა ზნეობრივი გაკვეთილების გახშირება, ზოგიერთი უზნეო მოვლენის დასაძლევად, რადგან არ არის ადვილი თაობათა გამრუდებული ფსიქოლოგიის გასწორება „ჰარი პოტერის“ ტიპის ანომალიების ზეგავლენით...

ბატონი რევზა მაჭარაშვილის ნაღვანი, სწორედ ამ თვალსაზრისით არის საყურადღებო. მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი არ გახლავთ რომანი და არც რომელიმე სხვა მხატვრული ფანტის ნაწარმოები, იგი თავის თავში მოიცავს ისეთი პატრიოტული თემებისა და ზნეობრივი მაგალითების ნუსხას, რომელიც მეტად ფასეულია ჩვენი დროისათვის, როდესაც მამათა და შვილთა თაობები შორდებიან ერთმანეთს და აღარ ახსოვთ უფლისაგან ბოძებული 10 მცნებიდან მეხუთე მცნება: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა...“, ანუ „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“.

ბატონო რევზა, თქვენმა მემუარულმა წიგნმა მომავონა და გამიახლა ჩემი ბარისახვის სკოლა-ინტერნატის ნოსტალგია, საიდანაც ვშავ-ხვესურეთის უნიჭიერესი თაობები წამოვიდნენ... ეს სკოლა მე-19 საუკუნის მიწურულს ვაჟა-ფშაველამ და ბაჩანამ დააარსეს და მისი პირველი დირექტორიც სწორედ ბაჩანა გახლდათ! აქ ზეპირად გვასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსანს“ და ვაჟა-ფშაველას, გვიკითხავდნენ „შექსპირის მონოლოგებს“, გვასწავლიდნენ სამშობლოს სიყვარულს, ქველობას და წინაპართა ხსოვნას ჩვენ, ჩვენი „ბიბლიური“ პედაგოგი-მოდერნიზმ! მახსოვს, გალაკტიონის სიკვდილის ამბავი რომ მოვიდა მარტის სუსხიან დღეს, როგორ ტიროდნენ ისინი. მაშინ მე არ ვიცოდი რა ატირებდათ...

ახლა არავინ არავიზე ტირის და არავინ არაფერზე დარდობს. კორბოულის №1 საჯარო სკოლის ისტორიამ ჩემი თემის და სკოლის ისტორია გამიცოცხლა. რა კარგი იქნებოდა თქვენნაირი მემატანე რომ ჰყოლებოდა „მოვლენათა მსგავსი კატალოგის“ შემდგენი...

თქვენმა წიგნმა „ზნეობის გაკვეთილი“ კიდევ ერთხელ შეგვახსენა თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და მშობელი, როგორი უნდა იყოს შვილი - ღირსეული მშობლების ღირსეული მემკვიდრე... ამ ღირსებამ დაგანერინათ თქვენ ეს „წიგნი - კატალოგი“, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ლამაზი, ზნეობრივი ცხოვრების მატთანე, ნიმუშად და სახსოვრად მათთვის, ვინც კვლავაც უნდა იცხოვროს და ისწავლოს ამ მინაზე...

თქვენ, საკუთარ მშობლებს და უწინარეს ქრისტინე ხარშილაძეს - დიდებულ ქალბატონს, რომელმაც გაიარა მეორე მსოფლიო ომის მრისხანე გზა და კორბოულის №1 საჯარო სკოლასაც დაანათლა სიყვარულის მადლი და ნიჭი - დაუდგით ღირსეული მემორიალი...

მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ამ წიგნში ცნობილ ადამიანთა არაერთი მოგონება და რეცენზიაა დაბეჭდილი, სადაც გამოხატულია მათი პოზიცია ბრწყინვალე ქალბატონის - ქრისტინე ხარშილაძის ნამდვილი სახის წარმოსაჩენად. დალაგებულია აგრეთვე დიდი ინფორმაციის მომცველი უნიკალური ფოტო მასალა, რაც სრულიად საკმარისია წიგნის მისიის შესასრულებლად.

ვისურვებდი, რომ უფალმა შეგვადლებინოს, ყველა ჩვენგანს მიგვეზღოს თავისი წილი მშობლისათვის და სკოლისათვის - დედა ენასა და სამშობლოს სიყვარულს რომ გვასწავლიდნენ და არ გვავინყებდნენ საკუთარ წინაპრებს.

კობა არაბული

მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ვაჟა ფშაველასა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი, საქართველოს თემთა დარბაზის და ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრის დამფუძნებელი

ავტორი რევზა მაჭარაშვილი, წიგნში „ზნეობის გაკვეთილი“ დეტალურად აღწერს თავისი დედის - ქალბატონი ქრისტინე (წინა) ხარშილაძის ცხოვრების ამსახველ ფაქტებს; კერძოდ, იმ გმირულ საქმიანობებს, რომელსაც რუხ ფარჯალში ჩაცმული ქართველი ქალიშვილი აწარმოებდა თაბამებრძოლებთან ერთად ბრძოლის ველზე, ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გამარჯვების მოსაპოვებლად.

1943 წლის 16 დეკემბერის უკუენითი ღამეა. დგას სუსხიანი ზამთარი თავისი სქელი, ლურჯი ყინულითა და დიდი თოვლით. და აი, მდინარე დნებზე მდებარე ხიდს, რომელზეც გადის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო ლიანდაგი, გერმანელთა 48 თვითმფრინავი მოაწყდა. მათ განზრახული აქვთ ხიდის განადგურება და აღმოსავლეთის მონყვეტა დასავლეთისაგან, რისთვისაც ხიდს ასობით ნაღმს ესვრიან. ამ დროს ჰაერში იჭრება ქნი ქრისტინე ხარშილაძისა და მის თანამებრძოლთა პროექტორების თვალისმოჭრელი სვეტები და იჭერენ ფრიცების თვითმფრინავთა ადგილმდებარეობას ჰაერში, რათა შეზენიტებმა უფრო ზუსტად ესროლონ და გაანადგურონ.

მთელი ღამის დაძაბული ბრძოლის შემდეგ, უკრაინის ზეცას მტრედისფერი ეპარება, ინათებს, ჰაერში მტრის არც ერთი თვითმფრინავი აღარ ჩანს, ხოლო ხიდი უვნებელია! დილის ბინდებუნდში, მდინარე დნებზე კვლავ ამყავდ მოსჩანს ერთი კილომეტრის სიგრძის ლამაზი ხიდი!...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, მშვიდ ვითარებაში ფიქრობს საგმირო საქმეებზე. თუმცა როგორც ვხედავთ, საგმირო საქმეები, მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერი და მასთან ერთად სხვა გამორჩეული ნიშან-თვისებების მქონე ადამიანთა ხვედრია.

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. ქრისტინე ხარშილაძე გამარჯვებული ბრუნდება. შემდეგ რა ხდება? ქნი ქრისტინე კვლავ საოცარი შემართებით აგრძელებს ცხოვრებას; წარმატებით ამთავრებს უნივერსიტეტს და მათემატიკის მასწავლებლად იწყებს მუშაობას თავის რაიონში, თავის სოფელში, იმ სკოლაში, სადაც ოდესღაც თვითონ სწავლობდა. ხდება მაღალი რანგის სპეციალისტი, ღირსეული პედაგოგი, მრავალთათვის მისაბამი, სამაგალითო და ამასთან ერთად საყვარელი - წინა მასწავლებელი!

ქალბატონი ქრისტინე ხარშილაძის მოღვაწეობის სფერო მრავალმხრივია, რომელიც განაწყოებს და გზას უწნათებს ახალგაზრდა თაობებს, რათა მომავლის დიდი იმედით ისწავლონ და იშრომონ თავიანთი ოჯახებისა და ხალხის საკეთილდღეოდ.


ქნი ქრისტინე ხარშილაძის ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მას სრულიად სამართლიანად აქვს მიღებული ყველა ის ჯილდო, რომლის შესახებაც საუბარია წიგნში. ისეთ ადამიანებს, როგორც ქნი ქრისტინე (წინა მასწავლებელი) იყო, ისტორია არასდროს დაივიწყებს.

მალეირან ღვინჯილია,

საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკის აკადემიის წევრი-აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ნიგნი „ქართული ლირიკის ანთოლოგია“

(გერმანულ ენაზე)



ახლადგამოცემული ნიგნი, რომელსაც ჰქვია „მე კვლავ მსურს კავკასიონისკენ“... და რომლის შესახებაც მინდოდა ორიოდ სიტყვა მეტყვა, წარმოადგენს ქართული ლირიკის ანთოლოგიას, ქართული პოეზიის ნიმუშთა კრებულს გერმანულ ენაზე, რომელიც გერმანიაში, ლუდვიგსბურგშია გამოცემული. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საუბარი გეგმიურად ქართულიდან გერმანულ თარგმანზე. ამ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ეს ენა დაჩაგრულ პირობებში იმყოფება და ამის ფონზე ორმაგად სასიხარულო და სასიამოვნოა ასეთი კრებულების ხილვა. თარგმანები გერმანულ ენაზე უფრო და უფრო მრავლდება (განსაკუთრებით კი, პოეზიისა) და ზუსტად ეს არის ჩემთვის, როგორც გერმანისტიკოსის და მთარგმნელისთვის მნიშვნელოვანი. ნიგნის შიგთავსს - ქართულ ლირიკას გერმანულ ენაზე - წინ უძღვის წინასიტყვაობა და შესავალი, რასაც აქ მე უფრო დეტალურად შევეხები, ვიდრე თარგმანს.

ნიგნის მხატვრული ავტორებია ანუ, ამ შემთხვევაში, ყდის დიხანი „ასი კავკასიონზე“ დიდებულია და აღვიძებს განცდას, მოლოდინს რაღაც ამაღლებულის, ზებუნებრივის მიმართ, გასაცრად ახლის მიმართ, როგორც თავად კავკასიონია. თითქო მოცემული ლირიკის გაცნობით ჩვენ, მართლაც და, მივიწვევთ მალა, რათა დავიპყროთ სივრცე ამ მშვენიერი სტრიქონებით, და ასეც ხდება, ჩვენ კავკასიონზე ვიმყოფებით და ვტყვებით... კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს გრძობა ნიგნის შეხედვისთანავე გვიპყრობს, ეს ესაა უნდა მივუახლოვდეთ დაფარულს, დამალულს, საიდუმლოს და ხელში ჩავიგდოთ რაღაც ზებუნებრივი, ხელუხლები. ეს არაჩვეულებრივია... დიდებულა... თუმცა სიმაღლეს ვერ ვინარჩუნებთ, შეგარძნებები უფერულდება, გრძობა ნელდება და ისევე ჩვეულებრივ განწყობას ვუბრუნდებით, მანამ, სანამ ისევე ლირიკის კითხვას არ შევედგებით. რატომ არ ხდება ამაღლებული, ლირიული განწყობის შენარჩუნება?

უდაოა, საქართველოს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ავტორზე, რადგან იგი დიდი მონდობით განაგრძობს მასზე საუბარს. შესავალში ავტორი ეხება მრავალფეროვან თემებს: საუბრობს მითოლოგიაზე, პრეისტორიულ მოვლენებზე, ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშებზე, საქართველოს მტრებზე (ძველ, მე-20 საუკუნის და 21-ე საუკუნის), ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მე-20 საუკუნის საქართველოზე, მოყვანილი აქვს საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი ქომაგის, მოტრფიალის ჰაინც ფენრიხის ციტატები ქართული ლიტერატურის შესახებ, საქართველოს ძველი და ამაჟამინდელი დედაქალაქის ისტორიაზე, მე-2 მსოფლიო ომზე, რაშიც საქართველო „ძალდატანებით“ (არაჩვეულებრივად) იქნა ჩათრული. ამ ყველა თემის ირგვლივ საუბარი და აზრისა და პოზიციის გამოხატვა თავისუფლად შეიძლება ცალკე ნიგნად გამოცემულ ნაშრომში, ხოლო აქ ლალი, მღერადი და ჟღერადი, პოეტური, ფარფატი და გრძობების ამბული, სულის ამაფორიაქებელი შესავალი მოუხდებოდა, ისეთი, როგორც თავად ქართველ კლასიკოსთა სტრიქონებია, მსუბუქი, შთამაგონებელი. შესავალი, რომელიც წამიერად დაიპყრობდა ნებისმიერი ადამიანის (ქართველისა თუ უცხოელის) გულს და გონებას და შეაყვარებდა მას ამ ჯადოსნურ პოეზიას, შეუნარჩუნებდა ყდის მხატვრობით მიღებულ ზეამაღლებულ შთაბეჭ-

დილებას, აღუძრავდა სურვილს არა მხოლოდ ამ ნიგნის შიგთავსს გაცნობოდა, არამედ ქართულ ლიტერატურასაც მთლიანად. და ეს ყველაფერი შეუნარჩუნებდა მკითხველს ლირიულ განწყობას, ნიგნის ბოლომდე დარჩებოდა იგი კავკასიონის მწვერვალზე და მთელი ცხოვრება გაჰყვებოდა ეს ამაღლებული გრძობა. ნებისმიერი ნიგნის მიზანიც ეს არის, განსაკუთრებით კი წინამდებარე ნიგნისა, რომლის ვალდებულებაა ადვილად მივიდეს მიზანმდე (მკითხველამდე). ეს ვალდებულება, ამ შემთხვევაში, გაორმაგებული და გასამაგებელიც კი უნდა იყოს, რადგან იგი უცხოელზეა მიმართული. პირველი შთაბეჭდილება ხომ ფრიად მნიშვნელოვანია. წინასიტყვაობა და შესავალი სიყვარულით სავსე კი არის, მაგრამ ნაზი, ნარნარი და ამავდროულად, ძლიერ შთაბეჭდავი, მკვეთრი სიტყვით გაჯერებული, გრძობააშლელი ხიდი უნდა ყოფილიყო ნიგნის ყდასა და შიგთავსს შორის. ქართული ლიტერატურის შესახებ უამრავი მასალა არსებობს იმისათვის, რათა უცხოელს ფაქიზად მიანოდო იგი გაცნობის მიზნით. ამ სექულტანიანი ნიგნის შესავალი კი ნამდვილად სხვაგვარად უნდა აგებულიყო მკითხველის განწყობის, შესანარჩუნებლად, ასამაღლებლად და, რაც მთავარია, ქართული ლიტერატურის ეპოქების იოლად აღსაქმელად და გასაგებად.

ნიგნის შესავალში ავტორი თავიდანვე ეხება საქართველოს და ამბობს: „მითიური მხარე“, „ქვეყანა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით“ ამის და მრავალი სხვა ლირსების გამო იზიდავდა იგი უცხოელებს. ამ სიტყვებში იგრძობა უდიდესი სიყვარული ჩვენი ქვეყნისა და ხალხისადმი. ქართული ენაც შთაბეჭდავი, კომპლექსური და ექსპრესიულია... და მოყვანილია ციტატა ბორის პასტერნაკის წერილებიდან საქართველოზე. გრძობები, ულევნი გრძობები... მხოლოდ ჯადოსნურ ლექსს რომ დაგვანერჩიებს. აღფრთოვანება, გაოცება, მოგადავება - თითოეული მათგანში კი უძირო სიღრმეები... მკითხველი ავტორის აღფრთოვანებას გრძობს, ეს აღფრთოვანება დევს ზუსტად თარგმანებში. თითოეული ლექსის თარგმანი უზადოა, ვამბობ, თარგმანი უზადოა, აუცილებლად მოიხიბლება უცხოელი მკითხველი ჩვენი დიდებული, საუკუნეების მიერ დაგროვებული შეუდარებელი ნიმუშებით - პოეზიის საგანძურით. მაგრამ, თანამედროვე პოეზიაში მრავალი ისეთი მარგალიტია, რომელთა მოხვედრა ამ ნიგნში უფრო ნათლად დაანახებდა უცხოელ მკითხველს ქართული პოეზიის ლირსებას. როგორც ერთი მეფე-პოეტი ბრძანებდა:

„ლექსი ჩემი სჯობს, გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა“...

დღესაც სიამოვნებით იტყოდა იგივეს ზოგიერთი პოეტი. აქ თანამედროვე ავტორთა შერჩევაც უფრო დახვეწილი შეიძლება ყოფილიყო. ჩვენ ხომ მრავალი ჭეშმარიტი თანამედროვე პოეტი გვყავს!

ავტორი აქვე ზედმიწევნით სწორად შენიშნავს, რომ მიუხედავად „ფიზიკური და მატერიალური დანაკარგებისა, ქართველი მაინც ახერხებენ „კულტურული ფასეულობების“ შექმნას, რომ ისინი „მსოფლიო რანგის ნაწარმოებებს“ ქმნიან, რაც მათ „უნიჭიერეს და კულტურულ ერად“ წარმოაჩენს.

განსაკუთრებით საინტერესოა, როცა ავტორი სვამს კითხვას: „როგორ გაუძლო ერმა საუკუნეებს?“, მოგვიანებით კი თავად პასუხობს კითხვაზე: „...რომ არა მათი უძველესი კულტურა, რომ არა ბუნების, კულტურის, დამწერლობისა და ენის ამოუცნობი ხასიათი, რომ არა მათი პოეზიის მოგვიზღვივე ცეცხლი...“ ასე ზუსტად შეუცვლია ავტორის ყველაფერი ქართული, ეს დიდად საამაყოა. თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავინყდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველთა ცხოვრებაში - სარწმუნოება, რომელიც უძველესი დროიდან ერთგულების, სიამაყისა და უდიდესი სიძლიერის საყრდენს წარმოადგენდა. ზუსტად სარწმუნოება და ღრმა რწმენა არის ის „ამოუცნობი“ რაც ქართველის ხასიათშია დავანებული. გავისხსნოთ, რომ ჩვენი მეფეები, უპირველესად, ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ, მათი ქმედებები, შესაძლებლად გვარად, ქრისტიანულ ჩარჩოებში ექცეოდა. რწმენამ შეგვიწარმოა ისტორია და ამ ორივემ გაძლგა მოგვცა.

ავტორს სამართლიანად მიაჩნია ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის ნაწილად, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურა, და განსაკუთრებით, პოეზია „უსამართლოდ უცნობია“-ო (ჰაინც ფენრიხი). იგი მსჯელობს ქართული ლიტერატურის სიძველეზე, ასახელებს „შუშანიკის ნამება“-ს, აქებს შოთა რუსთაველს და მის პოემას. იგი გვთავაზობს ამონარიდს 1993 წელს ბნი ჰაინც ფენრიხის მიერ გამოქვეყნებული ნიგნიდან, სადაც ავტორი ამბობს, რომ ქართული ლიტერატურა არ არის ფართოდ ცნობილი და ეს უსამართლობაა. ეს საკითხი, ჩემი აზრით, დღესაც მსჯელობის საგანია.

ნიგნში წარმოდგენილია თარგმანის ნიმუშები: იოანე ზოსიმე, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, რომანტიკოსები, მე-20 საუკუნის კლასიკოსები და თანამედროვე ავტორები. მე აქ ვეცადე თანამედროვეობა დამეცვა, თუმცა ნიგნში მოცემულია თერთმეტი საუკუნის პოეზია

თემატურად დალაგებული (როგორც აღნიშნულია შესავალში) თუ არეული (როგორც მე დავინახე და როგორც შეიძლება შეფასდეს).

თერთმეტი საუკუნის პოეზიის თემატურად დალაგება, ჩემი აზრით, არევის ნიშნავს, სადაც თავისთავად იშლება ეპოქალური ზღვრები, ისადაგურებს უწესრიგობა და მკითხველისთვის რთულია მთლიანი სურათის დანახვა.

ლექსი თავად თავისუფლება და უსაზღვრობაა, მას უდიდესი ძალა გააჩნია, ამიტომაც თავად, საკუთარი ხიბლით და თავისუფლებით იმკვიდრებს თავს „დიდ“ პოეზიაში და რჩება სამუდამოდ იქ. ეს ნიშნავს, რომ იგი იბრძვის წარმატლობასთან, ცდილობს დროის უკვდავყოფას და ამ დროის სივრცეში ყველაზე მნიშვნელოვანის მოქცევას. აქედან გამომდინარე, ქართული პოეზია, როგორც თავისთავად არსებული საგანძური ნიმუშების შერჩევა-გადარჩევა, საბედნიეროდ, თავად მართავს, თუ არ დაამკვიდრებს ე.ი. არ არის განძი და, რაც არ უნდა ვეცადოთ, ნიმუშიც განწირულია დავინყებისთვის. ამიტომ, ტყუილად ნუ ვეცდებით მწვერვალზე ავიტანოთ უგვანო „განძი“.

და ბოლოს, ამბობენ „გემოვნებაზე არ დაობნო“, არც ლიტერატურულ გემოვნებაზე შეიძლება დავა, იგი მრავალფეროვანია, მაგრამ საქართველოში კავკასიონით უმაღლეს ლიტერატურულ გემოვნებას შოთა ჰქვია, ეს ქართული სტანდარტია. შოთა ბიძგი ჩვენი პოეტური საგანძურისა, შოთა მთელი ეპოქაა, რომელიც ცალკე დგას, ბრწყინავს თავისი დიდებულებით, მან შვა მეფე-პოეტები, მან შვა ვაჟა და გალაკტიონი და დიდი პოეტური მე-20 საუკუნე. ეპოქა სრულყოფილების ჩარჩოა თითოეული პოეტისთვის და ასევე განსაკუთრებით და გამოკვეთილად, ეპოქალური დაყოფით, თანამედროვეობით, ქრონოლოგიით მასტანია მკითხველამდე. თანაც, ასეთი მიდგომა მეტად მარტივად აღსაქმელს გახდის ჩვენს, არც თუ ისე მარტივ ლიტერატურას. აღრევა დაუშვებელია. ამ ნიგნის წყობა, თანამედროვეობა - შოთასთან, ვაჟასთან და გალაკტიონთან უზუსტობითა და უხეშად შერჩეულ-შერეული თანამედროვეობა აუფერულებს პოეტურ დიად ეპოქებს და ემსგავსება ფიროსმანის ჩარჩოს გარეშე. თემატური ავტორის ხერხით ხდება ეპოქათა ერთმანეთში დაუნდობლად აღრევა, ისე, რომ უცხოელი კი არა, თავად ქართველს აერევა თავგზა. ქართულ ლიტერატურაში, სადაც ყველაფერს თავისი ლირსული, გამოკვეთილი ადგილი უკავია, რატომ არის საჭირო რაიმეს გადაადგილება „საზღვრებგარეშე“ სივრცეში, რაიმესთვის ახალი ადგილის მიჩენა ანდა გაურკვეველი „თავისუფლების“ მორევში გადაადგება? ყოველგვარი ცვლილება და ახალი იდეა მაშინაა კარგი, თუკი ის უკეთესობისკენაა მიმართული.

მიუხედავად ამ ყველაფერისა, ეს ნიგნი უდაოდ ასრულებს დადებით როლს ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში, უფრო მეტად სასიხარულოა, რომ ეს პოეზიას ეხება.


მთარგმნელი, პუბლიცისტი ნინო აქაღლიძე

სიკეთის პიჯიკი

არიან ადამიანები, რომელნიც გეიზერით შეხვედრისთანავე სულს გაგიტობენ, სიკეთის ნიშნით დაგმუხტავენ და მერე მთელი დღე ასე გაირონიებენ. ასეთ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება დიდებული პოეტი, შესანიშნავი ირანისტი, კეთილშობილი პატრიოტი და ამ სიტყვის უმაღლესი რეგისტრით - მოქალაქე ნომადი ბართაია. მის ლექსს მარად განუმეორებელი ხიბლი დასდევს, ხიბლი რომელიც სტრიქონ-სტრიქონ იღვრება შენში და ვითარცა ქვევრს ღვინო, ისე გავსებს და გათრობს პოეზიის ოხმივანით! იგი, ყველას უყვარს, ყველა სურს მასთან ყოფნა და ნომადიც დაუზარებლად ლეულობს მათ. მისმა ირანული პოეზიის თარგმანებმა ხომ უკვე დიდი ხანია თავისი ადგილი დაიმკვიდრა, ხოლო მისი ნიგნები სიყვარულით აღგავსებს იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც ბავშვობიდან შენი ქვეყნის დაუძინებელ მტრად გიხატავდა უფრო დიდი დამპყრობელი. მქონდა ბედნიერება ფერეიდანიშ ნომადისთან ერთად ვყოფილიყავი. ეს იყო უწყვეტი ურთიერთობა საქართველოს ისტორიულ მესხიერებასთან, რომელსაც ნომადი ბართაია ოსტატურად წარმართავდა. კიდევ ბევრი რამის თქმა ძალმიძს ამ კაცზე, მაგრამ სხვა დროს, ახლა კი მინდა საიუბილეო თარიღი მოგილოცო, ჩემო ძმაო - ნომადერო (ასე ვეძახი სიყვარულით), იხარე, იბედნიერე, შენი შესანიშნავი ოჯახით, მეუღლით, შვილებითა და შვილიშვილებით და, რა თქმა უნდა, შენი სამშობლო - საქართველოთი, რომელსაც ესეოდენ ეთაყვანებით.

გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს.

შენი ნოდარ კობერიძე



დილარ ივარდავა

თოვლის ზეიმი

თოვლი მოვიდა, ფაფუკი თოვლი, შეურყენელი და შეუბილნავი, ზეცამ ცარგვალში გაშალა მოლი და სასწაულის მოწმე ვიყავი. ფრთებს ისწორებდა ქარი არავი და თეთრ მუსიკის უზადო წერად – ძალა შესწევდა ქვეყნად არავის, რომ შეეწყვიტა სინმინდის დენა! ვეება ტაძარს მოჰგავს სივრცე და უდირიფოროდ გაჰქუხს ორკესტრი, კაცი ასეთ ჟამს ჟრჟოლით ივსება და ჰგავს პილიგრიმს მუხლებმოკეცილს! უჩინო ხელი ყაისნალებით ხელრთავს ბუნების მორიგ ცვლილებას; მთები, ხევები, შუკა, ბაღები მხატვრის თეთრ ყალმებს ემორჩილება! გადაპენტილა გზა და ბილიკი, საგანს საგანთან ან აქვს ცილობა, ზეიმი სუფევს ნამდვილ ლირიკის და თრთის ფიფქების უცოდვილობას! პირველყოფილი განცდის მოტივი შერწყმია გრძნულ ნიავის ქროლას – აყვავებული ტყემლის ტოტივით სულში შემოდის იანვრის თოვა. წმინდა სითეთრის ღვინოში ვთვრები, სულეთში ლოცვის ბგერები დათრთის, მინის ყოვლისმძლე ციური ფრთებით ჩუქურთმდებიან ვნებები ზამთრის!

ამ განახლების სიმღერით

ბატიფეხურით დაწერა, (არ უვარგოდა მართლწერა) მე, თებერვალმა, ზამთრის თვემ შევქმენი ესრე ქარტია, მალე შეხვდებით გაზაფხულს, ჩემს მერე – ციმციმ მარტია; ყველა სულიერს, უსულოს აახლეთ ჩემი სტატია; განსაკუთრებით, თოვლ-ყინვას – ზამთრის დიქტატორ პარტიას,

ყველამ გაიგოს ცხადია, ვეფხვი ძუა თუ ხვადია, სწადია თუ არ სწადია, წვანან, დგანან თუ დადიან – მიეცნენ თავდავიწყებას – ალორძინება იწყება; აყვეთ ჩვენც დროის დინებას – კვირტად ვაქციოთ ხეხილი, ნუშმა აანყო ფერხული, მალე ფუტკრების ზუზუნით ხმა მოგვესმება მეფური! სულს ლაფავს ზამთრის ზღაპარი – ხეებში წვენი იღვრება, მწერების ბაღში პარპარი ნაყოფით დათარიღდება! რადგანაც მინის მხატვარი მწვანე ტალღებად მიღვლავს. მზე-ფირუზ ფერით დამთვრალა დასჭექს გულიან სიმღერას! რა ძალა აქვს და ტვინი – ვინა თქვა მარტის უქმობა, მალე ხატულა აპრილი ვარდებს დაანთებს უქრობად! აპრილს გადასწევს მაისი ყუყუნა წვიმის შოლტებით, აშრილდება ხალისით ჭადარ-ალეების ფოთლები! მინის და ცის განახლების სახეა ფერთა მრავლობა, სიმღერა არ გვეძრახების, ვაქციოთ ბორჯი გალობად!

პერ ამიხსნია

მახსოვს, მითხარი: –აქ ხომ სამი წევს: პაპა, ბებია და შვილიშვილი, – ვინ იფიქრებდა მაშინ სამინედ შენც მანდ გქონია მათ გვერდით წილი?! დღეს აქ მოვდივარ ცრემლის ღრუბლებით დამძიმებული, დღეუბედური; ვერ ამიხსნია შინ რად ვბრუნდები, როცა იმედი აქვე მეგულვის.

რა გაბაღია

რა მებადა და რა მამაღია დღიდან გაჩენის – აღარაფერი, კაეშნანს და მუდამ დარდიანს არ მახსენდება ერთი ნათელიც! ვინც ერთობოდა – ისევ ერთობა, მე კი დავდივარ მძიმე ნალევლით, მზის შუქი რატომ აღარ მეთმობა? ვერვის გავანდე გულის სათქმელი ჩემს ბედისწერას, უფალი განსჯის – გალიას ვეღარ ტეხენ ლომებიც, დადგება ჟამი მავანთა დასჯის – სამართლიან გზას ნაამბორები! თავისუფლების ფილოსოფია ხალხის ლოგოსის ძალით იქმნება, სამწუხაროა ცოცხლად რომ გთვლიან და მომავალი არც გეფიქრება! ეს ყველაფერი ისე ცხადია – მე სიკვდილამდე ვიქეცი დარდად; დღეს არაფერი არ მამაღია სილატაკის და მოთმენის გარდა!

დასაბამიდან

ზეცას მომწყდარი ნამივით სუფთა – გვკვებავდა ტრფობა შეუბილნავი, შენ ახლაც მინდვრის ყვავილში სუნთქავ, მე უშენოდ მსპობს დარდის ფინალი! ჩხრიალების მუსიკის ბგერებს მომღერალივით ყურს რომ აპყრობდი, ფირუზჩამდნარი ზეცის ლბილ ფერებს ოცნების უღელ ფრთებით აპობდი! გაოცებული შაშვის ფალცეტით მიეცემოდი ამ ქვეყნის სევდას; ეჰ, მოძრაობა შენი არც ერთი დამვიწყებია – თვალნათლივ ვხედავ! ის, რაც იმჟამად ჩვეულებრივად მიმაჩნდა, ახლა გარდმექცა ნატვრად, ჩვენს შორის მინა ჩადგა ჯვებრად – ის არც მაცოცხლებს და ჯერეთ არ მკლავს! ჩვენი გათიშვა ვის რად ენადა, ამიხსნას ვინმე ჭკუათმყოფელმა – დაბადებიდან დარდი მღენავდა, – ეს ასე მარგო ნუთისოფელმა!

იმ ყიაგეთში, კასპიის პირას

ხელზე ცრემლივით დამეცა ცვარი ციურ ცთომილებს მონაჭიდები; კასპიის ტრამალთ ეფინა ცხვარი – ოდეს სიმდიდრე ბაგრატიდების! აქა ბინადართ უხსოვარ ჟამის – ყურს უყრუებდა ცხვირთა პეტელი... დამაოსები ოსების თვალის, მონმე დღესაც კი... ცოცხლად მეტყველი! არ იდგა ბორჯი ერთობ იოლი, ომების ჟინმა რა არ შებოლა, მე აქ სისხლთაგანს ბაგრატიონის თუ შევხვდებოდი არ კი მეგონა! ალაპყარ ყური – რეკავს ცის ზარი და ექო მისი ბრუნავს წრიულად, დიდ მხედართმთავარს თურმე ყიზლარი, აქ დაბადებულს ემშობლიურა! „ჩიორნი რინოკში“ დგას მისი ოდა და ნუ ჩამითვლით ამ ნათქვამს ცოდვად: –ხანს რა ჰქონდაო, ბუზს რომ გაჰქონდა, – სახლ-მუზეუმები სკვითთა ტომს ეყმო მამელუკების ცრემლიან ლოცვის უსაზღვროება, ვითომ არ გვეყო! ქართლის შვილები – მზე სხვათა ნათლის... ამ დროს, სამშობლო გვაქვს დაღენილი, ო, დედავ ჩემო, ამ მინის, ამ მთის წამებას როდის ესმის წერტილი! სამშობლოვ, შვილთა მაკლია ხელი, სინრფელე მათი, გულმონყალება, ისევ გრძელდება ის ხვედრი – ძველი! ის ძველებური ტანჯვა-წამება! ... ხელზე ცრემლივით დამეცა ცვარი!

ბაძრა, ბანილტვო

თავს რომ გეხვია სეფე ქალები, დაუდგათ მაგათ ხეპრე თვალები; ჭკუით და განსჯით შესაბრალებნი – მიზეზი-მიზეზნი შენი წვალების! დღეს არ არიან? რასა იქმიან, გრძელდება შენთან მათი წილობა? შენ ხომ, ძვირფასო, ფოთოლ მიქიავ, დაგლუპა მათში იმ თავყრილობამ! საკუთარ ტკივილს ვერ აუდიან მითხარი, შენთვის ვით მოიცლიან? ეს ყველაფერი ვარაუდია, თუ ვცდები, ერთი შენც გაიცინე! თავი არა მაქვს შტერთა შარების, ან რას უშველის იმ წარსულს ჩხიბვა, როდესაც ტრფობის გარდაცვალების ის გახსენება შენს მხევალთ ხიბლავს! ო, რა სიმუხთლე გამიდეს ხიდად, ჰამაკი მექცა ობობას ქსელად, ვინ თქვას ფოლადი გამოვა ხიდან – ხალიჩად ქსოვენ ან ცისარტყელას? არავის უნდა აღიარება იმ შეცდომათა უღრიალა ჯაჭვის, მიჯაჭვულია, არ იარება – კავკასის ქედზე დაბმული ძაღლი, – ნუ შევანუხეთ ის იარები, ჩავლილზე ახლა ნუნუნნი არ ღირს! აღარ დამდგარა დრო შეწყალების, მე ისე გკითხე – სეფე ქალები – ჯალათნი ტრფობის გარდაცვალების!

ცვალებადობა

ბედმა ოხერმა ასჯერ დამცინა, არ მომამორა სიმწრის ბაცილა; ხელმძყო სიბერემ ვნებებდაცლილმა, ვერ მიაქიმა მისანთ ვაქცინამ. ის მჭირს, რაც სხვისთვის დამიცინია, თითქოს საყრდენი გამოცლილი მაქვს, ჩემი სიმკვრივე უკეთ ცვლილია, ათას ოხრობას შენანირია! თუმც მომავლისა არ მეშინია, ჰომოფობია მაინც ხშირია, ნუთისოფელი, ვიცი ჭირია, ბოლოს გარდაცვლილს ვითომ სტირიან, ჩემნაირები, ჩემო კვირია, დადიოდნენ და კიდევ ივლიან, ბუდისწერა კი ბედის წვლილია, ...ჩემი სიმკვრივე ახლა ცვილია!

გახსოვდეს მუღამ

კაცთა გონება არ იზომება, ის ხან მკვრცხლია, ხან იზმორება, ბოლოს რომ მისხლით აინონება ეგაა ჭკუა – არა ქონება! ვის გამოადგა ოქრო და ვერცხლი, ან ზევს წაგვრილი ბრიალა ცეცხლი?! პატიოსნებას ბაჯალლო ვერ ცვლის – ტონას დანონის სინდისის ცერცვი! მიდი, მიჰყევი მოგვების შარას, სიგლაზე გონის, რაც გექონდა – კმარა! გულს სათნოება მოჰფინე მარად, სამშობლოს ტრფობა იტვირთე ვალად! ვინც სუფთა არის ის მართავს პარადს, სხვა დანარჩენი შეერწყმის წკვარამს, რადგან ცვიერთა ამ ქვეყნის კარავს დავინყებათა ლოდები ფარავს!



ჟინა ხეთაქვილი – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე მზია ვლადიმერის ასული ხეთაქვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ძვირფასო ქალბატონო მზია!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით გულსავსე პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო, მუდმივი ძიებებით და მიგნებებით სავსე შემოქმედებითი ცხოვრება. ჯერ 1968 წელს გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ გამოქვეყნდა თქვენი ლექსები. შემდეგ ნაზი კილასონიამ, ქართული ლექსის ალიარებულმა ოსტატმა, დაგილოცათ სამწერლო გზა ჟურნალ „საქართველოს ქალში“. 1968 წელს კი ჭეშმარიტად სერიოზული დებიუტი გქონდათ ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე. მას შემდეგ თქვენი ლექსები, მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, თეატრალური რეცენზიები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

ქართველმა მკითხველმა დიდი ინტერესითა და მოწონებით მიიღო თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „საახალწლო ნაძვის ხე თებერვალში“, „ცისარტყელა ჩამომიგზავნეთ“, „ეთერშია გლახდილობა“, „სიყვარულის პირამიდები“, „კოცნის ანაბეჭდები“, „შეცდომებით სავსე რვეული“, „სიცოცხლე, როგორც დანაშაული“... ამ კრებულებში, რომლებშიც სრულად წარმოჩინდა თქვენი პოეტური ძალმოსილება, ძალზე უშუალოდ, ბუნებრივად მოგვითხრობთ თქვენს დამოკიდებულებას სამყაროსთან, დროსთან, საკუთარ განცდებზე, გრძნობებზე, იმ ღრმა იარებზე, ბედნიერად ასე უხვად რომ გამოიმეტა თქვენთვის, მოგვითხრობთ სიყვარულზე და ღალატზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ერთგულებასა და გაუტანლობაზე, იმაზე, რომ ჩვენი ცხოვრება სხვა არა არის რა, თუ არა დაუსრულებელი ბარბაცი ერთი შეცდომიდან მეორემდე... თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები

ბი თარგმნილია არაბულ, ლიტვურ, ლატვიურ, ესტონურ, ფრანგულ, პოლონურ, აზერბაიჯანულ, ბულგარულ, რუსულ, ჩეხურ, ფინურ, უნგრულ, ინდურ, გერმანულ, იაპონურ, სომხურ ენებზე.

მნიშვნელოვანი წვლილი შეგაკვთ ქართული დრამატურგიის განვითარებაში. თქვენი პიესები „თეთრი პალატა“, „გამოთხოვება გაზაფულთან“, „მადლობას გიხდის, მწუხარება“, „ხელშეუხებელი“, „დატყვევებული ქარი“ წარმატებით იდგმებოდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დიდი, განსაკუთრებული წარმატება კი „ხეტილამ“ მოგიტანათ, საყმაწვილო პიესამ. ამ პიესამ, რომელიც თბილისის თოჯინების თეატრში დაიდგა, აღიარება მოიპოვა ტაშკენტში აზიისა და აფრიკის თოჯინური თეატრების ფესტივალზე, რის შემდეგაც პოლონეთში საერთაშორისო ფესტივალზე პირველი პრიზი დაიმსახურა.

ჩინებული მთარგმნელი ბრძანდებით. სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი პიერ ბერანჟეს, მარინა ცვეტაევას, სერგეი ესენინის, ანდრეი ვოზნესენსკის, ბელა ახმადულინას, იუნა მორიცის, რასულ რზას, გაგიკ დავითანის პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს, პოლონელი მწერლის მიხეილ კაზიუმის რომანს „ჩემი თვლებით“...

თქვენს კალამს ეკუთვნის მოთხრობებისა და პუბლიცისტური წერილების კრებული „სიცილის ოთახი“.

ავტორი ბრძანდებით საბავშვო კრებულებით: „ცხრასართულიანი სახლის ზღაპრები“, „დედა, მამა, კამი და...“, „ხეტილას ფესვები“, „ხარხარა მეფე“, „რა ჩემი საქმეა“...

სხვადასხვა დროს მოღვაწეობდით კოტე მარჯანიშვილის სახელობის, ქუთაისის, გორის, ცხინვალის თეატრებში, იყავით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორი, გამომცემლობა „მერანის“ დრამატურგიის განყოფილების გამგე.

მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, შიომღვიმელის, ივანე მაჩაბლის, მაყვალა მრევლიშვილის, სალომეა ნერიის (ლიტვა) სახელობის პრემიები, დაჯილდოებული ხართ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გიორგის ოქროს მედლითა და ღირსების ორდენით.

ეროვნებით ოს ქალბატონს თუ რამ განუხებთ ამქვეყნად, ის განუხებთ, რომ ქართველ და ოს ხალხს შუა ხიდა ჩატეხილი. ყველაფერს აკეთებთ საიმისოდ, რომ ეს ხიდი გამთელდეს და გონებადაბინდული სეპარატისტები მიხვდნენ, რომ თუ რამ გადაარჩენთ, ისევ ქართველებთან ერთად ყოფნა გადაარჩენთ.

ჩვენო მზია! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოქალაქს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



სიმონ ჯავახი – 95

95 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ვარდენის ძე არველაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო სიმონ! ჩვენო ძვირფასო მეგობარო! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან უხუცეს ქართველ მწერალს, მსცოვან, ღვანლმოსილ შემოქმედსა და მეცნიერს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 95-ე წლისთავს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის რვა ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო, პატიოსანი, მეტად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ცხოვრება. თქვენი ლიტერატურული დებიუტი ხომ შორეულ 1940 წელს შედგა, მეორე მსოფლიო ომის კვირაძალზე, როდესაც სავარდო და სამაისო ქალაქის გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ პირველი ლექსი გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მხატვრული ნარკვევები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიული გამოკვლევები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს როგორც სალიტერატურო, ისე სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი თქვენ გიცნობთ, როგორც უაღრესად ნაყოფიერ კრიტიკოსსა და ლიტერატურისმცოდნეს. თქვენი კვლევა-ძიების ძირითადი სფეროა უახლესი ლიტერატურული პროცესები და მათი განვითარების კანონზომიერებანი.

თქვენს წიგნებში („პოეზია და თანამედროვეობა“, „შთაგონება და პოეზია“, „კრიტიკული ნარკვევები“, „შემოქმედებას სიმართლე უყვარს“, „სიხლის გრძნობა“, „მეგობრობის მარადმწვანე ხე“, „შორეული თავისიანები“, „ჩვენებური უცხოელები“, „ესეისტური პრელუდიები“), რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა, გატაცებით იკვლევდით ქართული კულტურის, კრიტიკის, ესთეტიკისა და ფილოსოფიური აზროვნების პრობლემატიკას.

თქვენი მონოგრაფიული გამოკვლევე-

ბი „იდეალი და შემოქმედების თავისუფლება“, „სულის სარკეში“, „შემოქმედება და თავისუფლება“ ყურადღებას მასშტაბურობითა და ერუდიციით იპყრობს. ამ ნაშრომებში განხილულია შემეცნებისა და შემოქმედების ურთიერთმიმართება, აგრეთვე – თავისუფლების პრობლემა, მხატვრული და ფილოსოფიური შემეცნების სფეროში წარმოსახვის როლისა და მისი გამოვლენის სპეციფიკის საკითხები.

თვალსაჩინო წვლილი შეიტანეთ გალაკტიონოლოგიის განვითარებაში, გაამდიდრეთ რა იგი ახალი კრიტიკული ეტიუდებით გალაკტიონისა და მის თანამოქალაქეთა ურთიერთობის საკითხებზე. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია სტატიები: „გალაკტიონი და ტიცინი“, „გალაკტიონი და გრიგოლ რობაქიძე“, „გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია“...

რაოდენი სიყვარული და თავყვანისცემა ჩააქსოვეთ თქვენს წერილებს პაოლო იაშვილზე, ტიცინ ტაბიძეზე, სიმონ ჩიქოვანზე, ირაკლი აბაშიძეზე, გრიგოლ აბაშიძეზე, იოსებ ნონევილზე, რევაზ მარგვიანზე, შოთა ნიშნიანიძეზე...

არაერთი ათწლეული შეალიეთ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საშუალო სკოლასა და ქუთაისის მონაწილე-ახალგაზრდობის სასახლეში, მოგვიანებით კი სტუდენტებს ასწავლიდით ფილოსოფიისა და ესთეტიკის საფუძვლებს. 1972 წელს წარმატებით დაიცავით დისერტაცია ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, გახდით დოცენტი, მოგვიანებით კი – პროფესორი.

აქტიური საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. სხვადასხვა დროს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში ხელმძღვანელობდით ჯერ ახალგაზრდა მწერალთა, ხოლო შემდეგ პროზის, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციებს, იყავით ქუთაისის აკაკის წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-კონსულტანტი, უნივერსიტეტ „გელათის“ ლექტორი და აკადემიური საბჭოს წევრი, გაზეთ „უქიმიერონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საზოგადოება „ქუთაისელის“ დარბაზის წევრი...

თქვენი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ხალხთა მეგობრობის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის ნოდება; დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით; არჩეული ხართ ქუთაისისა და ვანის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო! გულით გვიხარია, რომ საშუალება გვაქვს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეულ შემოქმედს, დღეგრძელობა და მზებგრძელობა გისურვოთ ერისკაცს, ასე ღამაზად რომ იხარჯება სამშობლოს სასიკეთოდ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

დემნა კვარაცხელია

მშვიერი თავისუფლება რით ჯობია მაძლარ მონობას? - ეკითხება ბაბუას პატარა დემეტრე.

ბერდიამ ბავშვს არაფერი უპასუხა. ქვაბიდან პურის ნაჭერი ამოიღო და მოშორებით მდებარე ნამონოლილ ძაღლს უხმო.

ძაღლმა მოიბრინა.

ბერდია ძირს დაიხარა და თავზე ხელი გადაუსვა.

ძაღლმა წითელი ენა გამოჰყო და პატრონს ხელის გული აულოკა. სიხარულისგან მთელი ტანი უთრთოდა, პატრონს ფეხებზე ეკვროდა და თავს მუხლებზე ნაზად უხახუნებდა, თან ბერდიას მეორე ხელში მოქცეული პურის ნაჭრისკენ ხარბ მზერას მალმალ აპარებდა.

ბერდიამ პური მინაზე დაუდგო.

ძაღლმა პური შეჭამა, პატრონს წყლიანი თვალები მიაპყრო და ახალი ლუკმის მოლოდინში კუდის ქიცინსა და წკმუტუნს მოჰყვა.

ბერდიამ მოულოდნელად გამეტებით ამოარტყა ნიხლი ფერდში.

მოულოდნელმა დარტყამ ძაღლი ჰაერში ამოატრიალა. რეტდასხმული ფეთიანივით ნამოვარდა ფეხზე. დაზაფრული, საყვედურით სავსე თვალები წამით შეავლო პატრონს და შესაბრალოსი ნკავნკავით უკანმოუხედავად მოჰკურცხლა ჭიშკრის მიმართულებით. მოშორებით შეჩერდა, ნატკენი ადგილი აილოკა და ბერდიას გამწყრალი თვალებით გამოხედა.

ბერდიამ შვილიშვილს გადახედა. დემეტრეს გოცებისგან პირი დაეღო და უაზროდ დაჭყეტელ თვალებს ხან ბაბუას, ხან კი შორიასხლოს მდებარე მოკალათებულ ნაცემ-ნაბეგვ ძაღლს შეავლებდა, რომელიც ნატკენ ფერდს მალმალ ილოკავდა და დაბალ ხმაზე შესაბრალოსად წკმუტუნებდა.

„რატომ მოექცე ასე სასტიკად“ - გონსმოსულმა დემეტრემ უკმაყოფილო იერით ჯიქურ მიმართა ბაბუას.

ბერდიამ არაფერი უპასუხა. ქვაბიდან პურის ახალი ნაჭერი ამოიღო და ძაღლის მიმართულებით მოისროლა.

ძაღლმა პურის ნაჭრისკენ თვალები უნდოდ გამოაპარა, მერე ისე, რომ პატრონისთვის შემკრათალი თვალები არ მოუშორებია, რამდენიმე ნაბიჯი გაუბედავად გადმოდგა. აშკარად ყოყმანობდა. პურის ნაჭერი მადას აღუძრავდა, ლუკმის მოლოდინში პირი ნერწყვით ჰქონდა სავსე, მაგრამ ნატკენი ფერდი პატრონის ავ მოპყრობას ასხენებდა. ამიტომ, სიხარბე დაიოკა, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა და მტკივანი ადგილი მერამდენედ აილოკა, თან სანყალობელ თვალებს ხან პატრონისკენ აპარებდა, ხან პურის ნაჭრისკენ.

ბერდიამ ვედრებაგარეული მზრუნველი ხმით რამდენჯერმე უხმო თავისკენ.

პატრონის ნამახალისებელმა შეძახილმა ძაღლზე მაგიურად იმოქმედა. ფეხზე წამოხტა და არც შეყოყმანებულა ისე, საკბილოსკენ დაიძრა, თუმცა მოკლე, გამოზომილ ნაბიჯებზე და დამფრთხალი თვალების უნებლიე ცვცვებაზე ეტყობოდა, რომ პატრონს, მიუხედავად დამტკბარ-დამაქრული ხმისა, ბოლომდე მაინც არ ენდობოდა. პურის ნაჭერთან წამითაც კი არ შეყოვნებულა, კბილებს შუა მსწრაფლ მოიქცია და კუდამოძუებული უკან გავარდა. მოშორებით გაჩერდა, ცალი თვალით ბერდიას აღმაცურად გამოხედა და ჭამას შეუდგა.

ბერდიამ ჭამა აცალა, შემდეგ ორიოდ ნაბიჯი ძაღლისკენ გადადგა და აღერსიანი ხმით დაუძახა.

ძაღლმაც ორიოდ ნაბიჯი კუდის ქიცინით გადმოდგა. რამდენიმე წამით შეჩერდა. შიშისგან შემკრათალი თვალები პატრონს უნდოდ მიაპყრო, თუმცა, როგორც ჩანს, ბერდიას დამტკბარმა ხმამ და მომღიმარმა სახემ ეჭვები გაუფანტა, რადგან კუდის ქიცინით ისევ გადმოდგა ორიოდ ნაბიჯი. ასე რამდენჯერმე გაიმეორა, ვიდრე პატრონს მუხლებში არ ჩაეხუტა.

ბერდიამ ძაღლს დაუყვავა, შემდეგ დემეტრეს მიუბრუნდა და ეუბნება:

- ყველა ძაღლი ასე იქცევა. ძალიან თუ გაამწარებ, შეიძლება რომელიმე მათგანი სახლიდან გაიქცეს, მაგრამ აუცილებლად ეცდება ახალი პატრონის მოძებნას;

- მერე რა? ძაღლია და მზრუნველი სჭირდება, - დინჯად შენიშნა დემეტრემ;

- მონის, მით უფრო, მაძლარი მონის ხვედრიც ასეთია, - მრავლისმეტყველად გაუღიმა ბერდიამ შვილიშვილს;

- ე.ი. მონა ყოველთვის პატრონის მორჩილია, მაშინაც კი, როცა მას ცუდად ექცევიან? - გულუბრყვილო ხმით იკითხა დემეტრემ და ცნობისმოყვარე თვალები ბაბუას მიაპყრო;

- დიას ასეა, ან მორჩილია, ან უკეთეს შემთხვევაში ახალი პატრონის ძიებაშია - დაუდასტურა ბერდიამ, - თავისუფალი ადამიანი კი მხოლოდ ზნეობრივად გამართულ კანონებს ემორჩილება და მუდამ სამშობლოს საკეთილდღეოდ მოქმედებს, ამიტომაც ლალია და მოუთვინიერებელი. დატყვევებისა და მონად გაყიდვის შემთხვევაშიც კი ასე ხდება შინაგანი თავისუფლების შენარჩუნებას. მნიშვნელობა არა აქვს: ანამებენ თუ კარგად მოეპყრობიან, დაამცირებენ თუ ხელის გულზე დაისვამენ, დაამშვევენ თუ მატერიალურად უზრუნველყოფენ. იგი მტარვალს გულით არასოდეს შეიყვარებს. როგორც კი შემთხვევა მიეცემა, მაშინვე დროს იხელთებს და

ძაღლის ხუცარი

დაუფიქრებლად აუმხედრდება მჩაგვრელს, რადგან მშვიდ ცხოვრებას და უზრუნველ არსებობას, მით უფრო მტარვალთან სულიერ-ფიზიკურ შერწყმას იმიტირებს, განსაცდელ-ფათერაკებითა და სიდუხჭირით სავსე თავისუფლებას ამჯობინებს;

დემეტრე გულისყურით უსმენდა. ბერდიამ თავზე ხელი გადაუსვა, დაძაბული ჩანდა.

- რატომ ჩაფიქრდი, ბაბუა, - თითქოს შორიდან მოესმა შვილიშვილის ხმა;

- ჯერპატარახარდაარვიცი, ღირს თუ არასაუბრის გაგრძელება, - ნაიდუღუნა ბერდიამ, - დიდებს ასეთ საკითხებზე მსჯელობა არ აინტერესებთ. მათ ასეთ „სისულელეებზე“ სასაუბროდ აღარ სცალიათ. ისინი ნებისმიერ მოვლენას მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის საზომით აფასებენ და ისეთ თემებზე საუბარს გაურბიან, რაც მათ სულიერ კომფორტს დაარღვევს. ამიტომ, აბორჯებულებით საკუთარ თავს თუ ველაპარაკები ხოლმე, თუმცა ასეთ „აქტიურობას“ შენთან საუბარი სჯობია.

რადაცას გაიგებ, რადაცას კი ვერა, მაგრამ ამით არაფერი და შევდება. პირიქით, აზრიანი ბავშვი ხარ და ფიქრისთვის საზრდო მოგეცემა, რაც დროთა ვითარებაში სასურველ ნაყოფს გამოიღებს;

- ბერდიამ თავი ოდნავ გვერდზე მიაბრუნა და წყნარად ჩაახველა, შემდეგ შვილიშვილს წყაროსავით ანკარა თვალებში ჩახედა და დინჯად გააგრძელა:

- ქართველებს, ბოლო საუკუნეებში მონის ფსიქოლოგია შემოგვეპარა, სულ პატრონის ძიებაში ვართ. ამის მიზეზი ძირითადად ჩვენშია. ქართველი პირველკაცობის მანიითაა შეპყრობილი. იგი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს, გააჩნია თუ არა ამ ამბიციის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი მორალურ-ზნეობრივი რესურსი. პირველკაცობა მას, დედის მუცლიდან თანდაყოლილ, მის ექსკლუზიურ დანიშნულებად წარმოუდგენია, რაც საყოველთაო შურის, ურთიერთსიძულვილისა და გაუტანლობის მიზეზია. ქართველს, თვითრჩეულობის გადამეტებული, ხშირად სრულიად დაუსაბუთებელი და უკიდურესად ამპარტავნული რწმენა, როგორც მიუკერძოებელი თვითშეფასების, აგრეთვე თანამომძის ობიექტური შეფასების უნარს ართმევს. ასეთი ვითარება მას თანამომძესთან საერთო ენის გამონახვაში უშლის ხელს, რაც, საბოლოო ანგარიშით, აზიანებს ქვეყნის ინტერესებს. განდიდების სენით დაავადებული ქართველი, თანამომძის, განსაკუთრებით კი, ქვეყნისათვის თავდადებულის და სიკეთით ყოველმხრივ შემკობილის დაფასებას, მისი უპირატესობის აღიარებას და მასთან ერთად, მით უფრო, მისი დროშის ქვეშ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას, ამჯობინებს ქვეყნის გარეთ პატრონ-მფარველის მოძიებას, მის სამსახურში შესვლას, მისგან ნაწყალობე ჩინ-მედლებსა და პრივილეგიებს. იგი ამ გზით ცდილობს თანამომძეებზე უპირატესობის დემონსტრირების ავადმყოფური მანიის დაკმაყოფილებას. გარეშე ძალებიც მიზანმიმართულად შთაგვაგონებენ, რომ დამოუკიდებლად, პატრონის გარეშე არაფრის დაკეთების თავი არ გვაქვს, გვეუბნებიან ნიჭიერები (ამას ჩვენი გულის მოსაგებად და დასამშვიდებლად ამბობენ), მაგრამ უმაქნისები და ზარმაცები ხართო.

ქართველსაც მეტი რაღა უნდა, უხარია ნიჭიერს რომ ეძახიან. ნიჭიერებისთვის საზგასმა ქართველის პრიმიტიული ეგოიზმის დასაკმაყოფილებლად სრულიად საკმარისია, ამიტომ შრომა და სწავლა მისთვის მეორეხარისხოვანია. ასეთი წნეხის ქვეშ თაობები გაიზარდა და შედეგიც სახეზეა: ქართველს, ნიჭიერსა თუ უნიჭოს, შრომისა და სწავლის გარეშე სურს ფონს გასვლა. ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ყველას თავი სუპერნიჭიერი, თანაც ყველაზე ნიჭიერი და შესაბამისად, განსაკუთრებული ჰგონია, რაც თავის მხრივ, ნიჭიერ ნიადაგს ქმნის პირველკაცობის ავადმყოფური მანიისა და მისგან გამომდინარე მონური ფსიქოლოგიის საყოველთაო გავრცელებისათვის. ქვეყნის საქმეებიც უკან-უკან მიდის, რადგან სამშობლოს აღორძინებისთვის აუცილებელი გარემო-პირობების შექმნა მონური ფსიქოლოგიის ადამიანებს არ ძალუძთ. სამშობლოს აღორძინება და ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ.

- შენი ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გავიგე, ბაბუა. იძახი, მონის ფსიქოლოგია შემოგვეპარაო, თუმცა მეექვსეა ასე იყოს. ჩვენს გარშემო ყველას თავი ბატონივით უჭირავს და მონა ხარო, რომ უთხრა, ალბათ ცოცხლად ვერ გადაურჩები, - თავიდაუნებურად ხელები გაასავსავა დემეტრემ;

- ჩემს ნათქვამს ოდესმე მიხვდები. რაიმეს უარყოფა ყოველთვის არ ნიშნავს მის არარსებობას. უარყოფა ხშირად ერთგვარი საფარველია სულიერი დისკომფორტის შესანიღბად. რომელი ნაძირალა იტყვის, ნაძირალა ვარო. ზუსტად ასე იქცევა მონური ფსიქოლოგიის მატარებელი ადამიანიც, რომელიც მისი სიტყვიერი უარყოფის გზით ცდილობს ფსიქოლოგიური კომფორტის მიღწევას შენარჩუნებას, - საკუთარი პოზიცია დაიცვა ბერდიამ და შვილიშვილს აღერსიანად გაუღიმა.

- ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი დაზარალებული მხოლოდ ეს ძაღლია, - დემეტრეს ხმაში სიბრაღეულმა და კეთილშობილმა აღშფოთებამ გაიჟღერა;

- ცინიკოსები ამბობენ, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. ამ ძაღლს ცუდად მოვექცევი, მაგრამ მონური ფსიქოლოგიის არსის წარმოსაჩენად უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, თანაც ცინიზმით შეზავებულ სიმართლეს მეტი გამომსახველობა და დამაჯერებლობა გააჩნია, - დანაშაულის ფაქტზე გამოჭერილივით სახე მტკივნეულად დაენმახნა ბერდიას;

- ბაბუა, ნამდვილად არ მესმის ცინიკოსის მნიშვნელობა, მაგრამ თქვენი საქციელიდან გამომდინარე ვხვდები, რომ კარგს არაფერს ნიშნავს, - რადაც უცნაური გაბუტული ხმით თქვა დემეტრემ.

- მართალი ხარ, შვილო - დაუყვავა ბერდიამ შვილიშვილს, - ცინიკოსები ცუდი ადამიანები არიან და მათ რომ მივბაძე, ცუდად მოვიქცევი. ძალიან ვნანობ ჩემს საქციელს, ასე არასოდეს მოვიქცევი, - უხერხულობისაგან პატარა ბავშვივით განითლებულ ბერდიას მღელვარებისგან ხმა აუთრთოლდა, საფეთქლებზე ოფლმაც დაასხა, რამდენიმე წამით სული მოთქვა, დამშვიდდა და მისთვის ჩვეული სიდიხით დასძინა, - კარგად დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი: ვიდრე ცინიკოსები წყვეტენ ხალხის ბედს, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ მიმბაძველები არ გამოუღევათ, ვიდრე მათ ცინიზმს ხალხი ხოტბას შესასხამს, ვიდრე ცინიზმით შეზავება სიმართლეს მეტ დამაჯერებლობას შესძენს, მანამ პირველკაცობის ავადმყოფურ ამბიციას და შესაბამისად, მონის ფსიქოლოგიასაც ექნება გასავალი.

- დავიმახსოვრებ, ბაბუა, - გულლიად გაიღიმა დემეტრემ და მინდორში მობურთავე თანატოლებისკენ თავისდაუნებურად თვალი გაექცა.

- ვხედავ, დაილაღე, შენი ასაკის გათვალისწინებით ამ თემაზე საკმარისზე მეტი ვილაპარაკეთ, საუბარი სხვა დროს გავაგრძელოთ. ახლა კი გაიქეცი და შენს მეგობრებს შეუერთდი.

- კარგი, ბაბუა, - ისევ მხიარულად გაიღიმა დემეტრემ და თანატოლებისკენ აჩქარებული ნაბიჯით გასწია;

- საზრიანი ბავშვია. მისი შეურყენელი გონება წყაროსავით სუფთა და კამკამაა. ამიტომაც უადვილდება ჭეშმარიტების აღქმა, თუნდაც ინტუიციური ჭვრეტის უნარის ხარჯზე. დროთა ვითარებაში, სათანადო აღზრდისა და განათლების წყალობით, ლოგიკური აზროვნების უნარსაც განივითარებს. მთავარია ჭეშმარიტებას და მშობელ ბერს ზურგი არასოდეს შეაქციოს, - გაიფიქრა ბერდიამ და შვილიშვილს მოსიყვარულე თვალები გააყოლა.



ასე ნეტავი რამ გააცინა,
ოი, ეს მტირალა
ტირიფები...

ლია ჭილაძის ლექსზე „ტირიფები“,
შექმნილი სიმღერა (კომპოზიტორი ზურაბ მანაგაძე,
ვოკალი - ბესიკ კალანდაძე) 80-იან წლებში მთელმა საქართველომ
აიტაცა და შეიყვარა. სიმღერამ დროს გაუძლო და დღემდე
პოპულარულია.

ლია ჭილაძე მაშინ სრულიად ახალგაზრდა
გოგონა იყო - ნიჭიერი, მომავლის იმედებით
აღსავსე. წერდა ლექსებს და ბეჭდავდა
სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში.

გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის
დამთავრების შემდეგ ცხოვრობდა ქალაქ
ცხინვალში და მაშინდელ საოლქო ქართულ
გაზეთში მუშაობდა. მისი, როგორც ჟურნალისტი
და პუბლიცისტის ნიჭი კი მეტად გამოვლინდა
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“,
სადაც ის თითქმის ოცი წლის განმავლობაში
წამყვანი ჟურნალისტი იყო და წერდა
სტატიებს, როგორც პოლიტიკის, ეკონომიკის,
ასევე სულიერების თემაზე.

ლია ჭილაძე შესანიშნავი ოჯახის დედაა -
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მისმა ოჯახმა
იცემა დევნილობის სიმწარე. სამაჩაბლო
მისი ტყვილია, ამიტომ ქალბატონი ლია
უწყვეტად წერდა საგაზეთო სტატიებს
კონფლიქტური რეგიონის პრობლემებზე.
ამის შედეგად კი მის ხელთაა დიდი
დოკუმენტური მასალა, რომელიც მზად
აქვს წიგნად გამოსაცემად.

ლია ჭილაძე არის საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი, 1999 წელს დაჯილდოვდა
„ღირსების მედლით“, რუსეთ-საქართველოს
ომის ამსახველ პუბლიცისტურ და
ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებისათვის
საქართველოს ჟურნალისტიკაში შემოქმედებითი
კავშირის მიერ გადაეცა პირველი ხარისხის
დიპლომი (2012 წ.). უანგარო და ხანგრძლივი
პედაგოგიური მოღვაწეობისთვის კი მიღებული
აქვს ქ. თბილისის მერიის და აფხაზეთის
არ კულტურის სამინისტროს სიგელები
(2003 წ.).

„მწერლის გაზეთის“ ამ გვერდს დღეს
ლია ჭილაძის გულწრფელ, მშვენიერ
პოეზიას ვუთმობთ.

ბიეტა აბშილავა

ლია ჭილაძე

ტირიფები

ალარც დაბნეული მძივი ვარ და
ალარც მარცვალ-მარცვალ ვიკრიფები,
ნუთუ არ გინახავს წვიმის ფარდა,
ან გაცივებული ტირიფები?

მე გაზაფხულივით მოგეპარე,
და გაზაფხულივით შენში დავრჩი,
ჩვენი სიყვარული მოგაბარე -
ეს უნახესი და თოთო ბავშვი.

კიდევ - ნისლიანი მთები მიყვარს,
ჩვენგან გათელილი ბილიკებით,
ასე ნეტავი რამ გააცინა -
ოი, ეს მტირალა ტირიფები!...

სამაჩაბლოს

ალალ შენ, ქართლის ციხე, ნაშალო,
გოდორას წყარო კენჭებს გილოკავს...
უკვე დაგარქვი, მტერო, სახელი
და სადიდგორე ძარღვი მიტოკავს!

სამაჩაბლოდან მიწის სურნელი
ჩამომიტანა ალუბლის ფიფქმა...
მონატრებიათ ციხის ქონგურებს -
მუსიკის რიტმი და ლექსის რითმა.

გველოდებიან ნასახლარები,
იმედის ყვავილს ფურცლებს აცლიან.
გველოდებიან, რომ დავბრუნდებით
და ცრემლით სავსე დოქებს
დაცლიან...

ალალ შენ, ქართლის ციხე, ნაშალო,
მოჭიდებული ძირძველ კილო-კავს...
უკვე დაგარქვი, მტერო, სახელი
და სადიდგორე ძარღვი მიტოკავს.

ქართლს

მშვილდის მოზიდვას შენსკენ
ვინ ბედავს? -
ქართლის მოშურნე ღმერთმაც
დალახვროს!
თუკი მომავლის ცისფერ ბილიკებს
შენ თუ მოაკლდი, მერე - რალა დროს...

თუკი გახადეს მეფეს ქოშები,
მწუხრს გაუყენეს დედა-ქალწული...
მთვარე ქარბუქშიც გამოანათებს
შენზე მლოცველი და სულნასული!

შუქი გაარღვევს ღრებელს დენთისას,
დარდის საბურველს შემოხსნის
ფრონეს,
ლიახვს ჩაჰყვება ქარი კივილით,
დაღლილი ქსანთან გულს
მოიფონებს...

სამშობლოს ორგულს ჩამოხსნის
ნილაბს,
არ დაიშურებს შენთვის არაფერს.
გორის ციხესთან გადმომდგარ ცის-
კარს
შენს სიყვარულზე ალაპარაკებს!...

იოტა

ვერც დრომა და ვერც საშლელმა,
ვერც ნაჯახმა პირით ბასრით,
ვერც წაშალა ერში ხსოვნა -
ძველთაძველი იოტასი!

ქართლში მოდი, გაიგონე,
ხმა მართლის და ძველისაი,
„ქებაი და დიდებაი
ქართულისა ენისაი“...

აქ „დამარხულა საიდუმლოი...“
მე არ გიყვებით ზღაპარს მოგონილს,
ზოსიმეს ენით დანათლულია
ყველა ბიჭი და ყველა გოგოი...

დრომ თავის გზებზე სად არ გვატარა,
ნურც ჟამს ვუწოდებთ ასე
ულმობელს...
ყური მიუგდეთ: - ქართლში აკვნიდან
დღესაც ზოსიმეს ენით უბნობენ!

დროს ემდურვი? - სულ ტყუილად,
არაფერი დაგიკარგავს!
ხვალ გადამწვარ ნასახლარებს
უფლის ხელი დაგიქარგავს!...

საქართველო

ჩემო ტანჯულო, ჩემო ჯვარცმულო,
გულზე გატყვია მწველი იარა.
რამდენმა მეხმაც იგრგვინა ცაზე,
ყველამ შენს გულზე გადაიარა!

ვერ მოგიქსოვეთ ჯაჭვის პერანგი,
ვერ მოგიფრთხილდით დედას
მადლიანს...
და მტერს, მოჩენილს, რა ენაღვლება
როცა კალთიდან შვილებს გაცლიან...

მინაც შაგრენის ტყავი ყოფილა...
ცა დაისერა მწუხრის ფერებით.
ცოდვა-მადლიანს - ყველას,
უკლებლივ,
ბოლოს ისევ შენ მოგვეფერები!

ვერამოთქმული
ლექსები

არც მუზარადით შობილხართ,
ცაში საფრენო მერცხლებო,
ვაიმე, როგორ დაღლილხართ,
ომგამოვლილო ლექსებო...

თუ მომკლავს, თქვენი დარდი და
თუ მომკლავს, თქვენი სიშორე.
ზოგს თუ იებად გაგფურჩქნით,
ზოგსაც ხომ გულში გიტოვებთ...

თქვე სულის სამკაულებო,
სულში ჩანწულო ვერცხლებო...
სულაც თქვენგნით ვარ ორსული -
ვერამოთქმული ლექსებო!

ვინ მართალია, ვინ მტყუანი -
არავინ იცის!
და მოაგორებს მღვრიე ზვირთებს
ფიქრის მდინარე.

ო, ვერ იპოვი სანუთროში შვებას
სანატრელს,
თუგინდ ცა, ზღვა და მთლად ხმელეთი
შემოიარე.

გაოქროვდება შემოდგომის მზე
გადაღლილი
და წითელ ფოთლებს ბილიკებზე
დაიფენს ბაღჩა...
და სიმღერებშიც სამუდამოდ
გაკრთება იგი-
რაც ერთხელ მაინც ტკივილამდე
შიგ გულში ჩარჩა!...

იასამანი

როგორ ავმღერდი, როგორ ავფეთქდი,
გადამსკდა მკერდზე ღილი-კაბანი...
ამ გაზაფხულის ლორთქო კვირტებით
გავბრუებულვარ იასამანი.

ძარღვებში დამდის რძე და მირონი
სისხლად რომ უფრო უნდა ვიყო,
რომ ლურჯი ზეცის სანაპირონი
ჩემი სურნელით დავატრიალო.

ფოთლები კრთიან ღამენათევი,
მაქვს აიაზმით შუბლი ნაბანი
და მზის სხივივით ვარ ბედნათელი -
სიცოცხლით სავსე იასამანი!

ქარი მაქანებს აღმა და დაღმა,
სულ დამანყვიტა ღილი-კაბანი...
ღიმი მაჩუქე, ცავ, ერთი ღიმი,
შენთვის ავმღერდი იასამანი!

მაისის წვიმაში

ცხოვრება მეგონა ცისფერი მირაჟი,
მინდოდა მეკრიფა ია და სოსანი.
ვიპოვე მუსიკა მაისის წვიმაში,
მღეროდა ქარი და გალობდა მგოსანი!

მეგონა, რაც ვიყავ - ის იყო სხვაიცა:
სიმართლე, სიმაღლე, სინმინდე,
სხივები...
ბრძოლაში, ზრუნვაში სუყველა გაიცა
და საოცარია - სადამდე მივედით!

გადიან წლები და მძლავრობენ
ფიქრები,
მიდიან, მოდიან ია და სოსანი.
დავრჩები ტრფილად მაისის
წვიმების,
ოლონდ კი მამულზე გალობდეს
მგოსანი!

დედას

წლებმა წაიღეს ძელი ეშხი
და სინატიფე,
მესურვილება შვინდისფერი
კაბით გიხილო.
შენს ლამაზ ხელზე ლალისთვლიან
ბეჭედს დავეძებ...
რად გაგტეხია ეგრე გული,
ჩემო დედილო?...

მინდა სულ ისევ შემართულს და
უტეხს გხედავდე,
მაგრამ დაღლილხარ... ქალი ხარ
და გეპატიება.
მე ჭირთათმენა და სიმართლე
შენგან ვისწავლე,
გზა მომიჩითეს უშურველად
ლურჯმა იებმა.

ო, შენს თითებში ძველებურად
ტირის გიტარა,
და მიხარია, როცა ვისმენ
შენს ნაზ სიმღერას.
ჩემო კეთილო, სულ ჩემთან ხარ,
რაგინდ შორს იყო
და გზად შემხვედრი
სიძნელეციც მეადვილება!...

თავს იწონებდნენ მაშინ ვერხვები,
ოდეს შრიალით სმენას ატკობდნენ,
და გასაოცრად ნატიფ მკლავებში
მერცხლებს უთმობდნენ ადგილს
მარტოდენ...

ჩამოდგომიათ მწუხრის აჩრდილი,
სადღაა ფოთოლთ შრიალ-შრიალი...
მოდის ზამთარი. შიშველ ტოტებში
გააქვს-გამოაქვს ავ ქარს გრიალი.

ღიღილი

შემოიბრინა მინდორი
ლურჯკაბიანმა ღიღილომ,
ბარდებმა გზა ჩაულობეს,
შემოაწყვიტეს ღიღი-კილო...

მონყენით მიეშურება,
ნეტავი ჩაიღიმილოს...
თუმცა, რა ჩემი დარდი აქვს,
დედას დაექებს ღიღილო!

მაყვალა ხატიაშვილი

კითხვა ჩვენს თაობას

ცხრა აპრილს, როცა დამპყობთა ტანკებს
 ეკვეთნენ მკერდით ხელებშიშველნი,
 მშობელი ჩემო და წინაპარო,
 იმ ღამით, მათთან შენც ხომ იდექი?
 ოთხმოცდაათში ცა რომ გაიხსნა
 და რეალური გაჩნდა იმედი,
 მერე კი, როცა ყვავილთა ნაცვლად
 გამოიმეტეს ტყვია იმდენი...
 შთამომავალი გკითხავთ უცილოდ
 შენც იქ იყავი? შენც იქ იდექი?
 და როცა წავა, უკან დაიხვეს
 გადამთიელი, კარზე მომდგარი,
 როდესაც ნაღმა დატრიალდება
 ქანცგანყვეტილი ქვეყნის ბორბალი,
 მღვრიე წყალი რომ დაინმინდება,
 აღარ დარჩება კითხვა იმდენი,
 როს ღირსეული მოვა თაობა,
 ჩვენი სამშობლოს ხსნა და იმედი,
 ის ერთი კითხვა მაინც დარჩება
 იმ კითხვას ახლავს დარდი იმდენი
 - იმ ქართველში შენ, წინაპარო,
 თუ იქ იყავი, ვისთან იდექი?

წინადი (ნადირაძე)

ავტობრაფი

მე ვენაფები წყაროში წყაროს,
 წყაროს, რომელსაც სულ სხვა გემო აქვს,
 წყაროს, რომელიც სისხლია თითქმის,
 წყაროს, რომელსაც მგლის სენი მოაქვს.
 ამ წამს ენთება ჩემი ვარსკვლავი,
 ვგრძნობ, ენერგია ისევ მენდობა,
 ვგრძნობ, როგორ მოსჩქევს ურჩი სურვილი,
 როგორც მუტანტი, ჩემს გულს ეკრობა.
 ეს შეგრძნებები ისევ ტრანსია,
 უხორცო სხეულს ასე რომ მბოჭავს,
 მიპყრობს სიგიჟის მწველი მაქცია,
 უსასრულობის ზმანება მოჩანს!..
 სად დაცურავენ ვერცხლის თევზები,
 სად ისვენებენ სულელები ზეცად,
 სად პოულობენ სიტბოს ობოლნი,
 რა ემართება სიყვარულს ქვეყნად.
 მინდა ვიყვირო, მაგრამ ხმა არ მაქვს,
 მინდა დაუთმოთ თავი აქ ტანჯულთ,
 მინდა, რომ ვიქცე კარგ მოგონებად,
 ამაოების გზა მივცე მსაჯულთ.
 მაგრამ ეს ამ წამს, ამ წუთას ხდება,
 შემდეგ არ ვიცი, სად გავიღვიძებ.
 თუ შევიბრალებ მე ჩემს ანგელოზს
 და დემონების შურს არ ვიძიებ.
 მზე კი ისევე ამოანათებს,
 ისევე დახეთქავს ხეებზე კვირტებს,
 ისევე აკოცებს გრძნობა მის გრძნობას,
 ისევე შეხვდება მოყვასი მის მტერს.

ვინყებ თიხისგან მეგობრის ძერწვას,
 ქართული მიწის აქვს მას ძარღვები.
 ვცდილობ მსგავსება იყოს ჩვენს შორის,
 ერთად მოვკრიფოთ ეკლის ვარდები.

როცა ქვეყანა ძილს მიეცემა,
 მინდა ვუსმინოთ ღამის ნაამბობს.
 ვიაროთ გზებზე დაუღალავად,
 მერე წამოვწვით იქვე ზღვის ახლოს.

მინდა გიყურო და ასე ვწერო,
 შევქმნა ბალადა თავისუფლების,
 რომ გვიხაროდეს სიცოცხლე წამის
 და შევიყვაროთ სუნთქვა ცხოვრების...

და მერე ასე ჩაგვეძინება,
 და მზე ამოვა ცეცხლის ფოთლებით,
 ჩვენ დავშორდებით კვლავ შეხვედრამდე
 და ახალ მთვარეს დაველოდებით.

ივეტა პავლიაშვილი

გაზაფხულთან ერთად

მე გაზაფხულთან ერთად
 მოვალ შენთან...
 აპრილის სიოს ავედევნები,
 გამოვაფხიზლებ ბავშვურ ოცნებას.

მონატრებული სიტბო მწყურია,
 შენს სათუთ გულში ამზევებული, -
 მინდა გაიმბო რაც თავს გადამხდა,
 რა განსაცდელშიც ვიყავ შებმული.

როგორ ვითვლიდი ზამთრის
 გრძელ ღამეს...
 ჰო, გაზაფხულო! შენ რა იცოდი?
 გული გამითბე, დრომ რომ დაჯაბნა,
 მე კი მეგონა შენ არც მიცნობდი.

მომნატრებია შენი მზის სხივი
 და შენი ჩეროც მომნატრებია.
 ის შენი სიტბო ტკბილმშობლიური,
 იცი, რამდენჯერ დამისიზმრებია?!...

... მინდვრის შროშნები მეგებებოდნენ,
 ფერად ყვავილთა სამოსი მეცვა,
 შენ კი მხვდებოდი ჩვეულ ღიმილით,
 დასაფრენ ბილიკს აცლიდი ეკალს.

მთელი ზამთარი ლოდინმა მომკლა,
 დღე ხვალინდელი, მე შენით ვმშვენობ.
 ო, არცერთი დღე არა ყოფილა,
 რომ ვყოფილიყავ მარტო, უშენოდ...

მერე კი რახან გული ვიჯერე
 შენი ალერსით, შენი ფერებით,
 სიყმანვილისკენ თითქოს დავბრუნდი,
 ო, ჩემებური ყელმოღერებით.

ზამთარი ახლა რას შემამინებს,
 მოგებული მაქვს ბრძოლა ომებით!
 მესურვილება - კვლავაც შეგძახო:
 კვლავ გაზაფხულთან ერთად მოვედი.

ნუგზარ ხუციშვილი

ომი სამაჩაბლოში

ყველას ერთად გაგვიკვირდა,
 გამოცხადდა განგაში,
 ბევრი სისხლი დაიღვარა,
 ცხინვალსა და ჯავაში.
 ბევრი კაცი დაიღუპა,
 ბევრიც მანდილოსანი,
 იქ, ისეთი რამ ხდებოდა,
 რომ, ვერ აღწერს მგოსანი.
 არც ქართველებს და არც ოსებს,
 არ უნდოდათ ომი,
 სეირობას უყურებდა,
 რუსი, განზე მდგომი.

გურამ ჭავჭავანიძე

ის გაუმარჯოს!

ეს გაუმარჯოს გულს ტრფობით სავსეს
 და გულს, რომელიც ტრფობის ღირსია,
 თუ სიყვარული არ გალამაზებს,
 მაშინ მაისიც რა მაისია.

მე ვეტრფი გულით, სულით ღამაზებს,
 დამილოცნია მათი მისია,
 ვინც წუთისოფელს გამიღამაზებს,
 ჩემი სულისთქმაც სწორედ მისია.

დიდება ღმერთებს, ამ ქვეყანაზე,
 რომ სიყვარული მარადისია,
 ეს გაუმარჯოს გულს ტრფობით სავსეს
 და გულს, რომელიც ტრფობის ღირსია!

ზღაპარი დიდებისათვის

(გუნა კვარაცხელიას უძიებში)

გურა კვარაცხელიას მათემატიკური ხედვა აქვს,
 ალგორითმებითა და ხაზებით დატვირთული, თუმცა
 მდიდარია ფერადოვნებით. მისი ნახატები კალე-
 იდოსკოპს ჰგავს ათასგვარი ციმციმით.

გურას მიერ წარმოდგენილი სამყარო თითქოს ბავ-
 შვის თვალთაა დანახული და ზღაპარია დიდების-
 თვის – ერთგვარი სატყუარა ცხოვრების ორომტ-
 რიალში.

გურა ხანდახან საშინელებათა ფილმს უყურებს
 და ტილოზე გადააქვს: ხან ყოფითი პროზაულობა
 იჩენს თავს და ხაზები ქრება... ერთი ან ორი ფერი
 რჩება მთავარი იდეის გამოსახატავად.

გურას მრავალგვარი ხედვა აქვს: ის ერთნაირად
 ამჩნევს კაცის სიზმრებს და თანამედროვე ევასაც...
 ბევრგან უფრო ხასხასა ფერი ჭარბობს, წითელი,
 ყვითელი, მწვანე, ცისფერი. ეს უჩვეულო ფერთა
 გამა ხელიხელჩაკიდებული მიდის ბოლომდე.

გურა შორსმჭვრეტელია, მას ზღაპრების არ სჯე-
 რა, მაგრამ ზოგჯერ ოქროს თევზიც მეტყველია მის
 ნახატებზე. ყველა მათგანი დასათაურებულია და
 მთავარ იდეას გამოხატავს. ნახატები ძირითადად
 მრავალფეროვანია, თუმცა შავ-თეთრი ხაზების
 შეხამება საოცრად ბევრის მომცველია. მის გრაფი-
 კულ ნამუშევრებში ნაგრძნობია განწყობა და ამის
 შესაბამისად გამოხატვის ფორმაც.

გურას მხატვრობა მდიდარია ფერწერული ალიტე-
 რაციებით. აქედან ჩანს, რომ ამ სურათების ავტორი
 ენათმეცნიერია, ლინგვისტია. ერთ-ერთ ნახატში
 იყენებს მითს და ეს არის „კოლხი ქალი“, რომლის
 თავზე არგონავტების ხომალდის სიმბოლოა გამო-
 სახული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის განსა-
 კუთრებული ბედისწერის მატარებელია.

წითელი ფერის გრადაცია სურათზე: – „თანა-
 მედროვე ეკა“. საერთოდაც გურა კვარაცხელიას
 ფერწერა სიმბოლოებითაა გაჯერებული, რაც მის
 ზოგიერთ აბსტრაქტულ ნამუშევრებსაც უფრო აღ-
 ქმადს ხდის ჩვეულებრივი თვალისათვის.

ზოგადად გურას მხატვრობა კონცეპტუალურია.
 მასში ერთად არის თავმოყრილი ფერწერის ყვე-
 ლა მიმართულება, პოსტმოდერნი იქნება ეს თუ
 რეალიზმი, თუმცა მხატვარი უპირატესობას გრო-
 ტესკულ ფორმებს ანიჭებს. მის ნახატებში პიკასოს
 გავლენაც იგრძნობა, თუმცა პლაკატურობა აქ დაძ-
 ლეულია აღმოსავლური ფერწერის ფორმებითა და
 ფიგურების სიუხვით.

გურას ნახატები თითქოს მოჯადოებული წრეა
 ჯაჭვური რეაქციის პრინციპით...

მიმოზა კვირკვია

ქართული კულტურის ისტორია


ქართული კულტურის ისტორია



ქართული კულტურის ისტორია II. ქართული კულტურის ისტორია II. ქართული კულტურის ისტორია II.

დაფუძნებული უაღრესად სანდო და ამომწურავი ისტორია ქართული კულტურისა უძველესი დროიდან XXI საუკუნემდე, რომელიც კომპლექტურ მეცნიერულ პასუხს გასცემს ფართო მკითხველისათვის საინტერესო არაერთ კითხვას.

რომანი სააკაშვილის შავხელ ათნეულა




მკითხველმა უკვე მიიღო რევაზ მიშველაძის ახალი რომანი "ციყვი ბორბალი" (გამომცემლობა "საქართველოს მაცნე", რედაქტორი სოსო სიგუა - 340 გვ.). ამ რომანში რევაზ მიშველაძე მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით

ბით გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ კამათლებით აბურთავებდა თავგასული პრეზიდენტი მოქალაქეთა ბელს.

ნაწარმოები საინტერესო პრობლემატური, მძაფრი სიუჟეტით და მტკიცე კომპოზიციით გამოირჩევა. რომანის ტირაჟის დიდი ნაწილი სწრაფად გაიყიდა. მსურველებს ნიგნის შექმნა შეეძლიათ გამომცემლობის ოფისში. ედიშერ მალალაშვილის ქ. N6. ტელ: 568 105 467

"შენ ხარ ვენახი"

ახლახან ქართველმა მკითხველმა კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღო. ცნობილი ქართველი მწერალი და გამომცემელი აკაკი ბრეგვაძე გამოსცა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია სახელწოდებით "შენ ხარ ვენახი". კრებული შედგენილი არის აკაკი ბრეგვაძე და ზაალ ბოტკოველი.



პოლიგრაფიული თვალსაზრისით ამ უზადოდ გამოცემულ ნიგნში თავმოყრილია სამშობლოსადმი მიძღვნილი 700-მდე ავტორის თითოეული და აგრეთვე ფოტოკოლორული პატრიოტული პოეზია.

საზოგადოება ინტერესით შეხვდა ამ მშვენიერ კრებულს, რომელიც შედგება მწერალთა სხვადასხვა თაობის მიერ შექმნილი პატრიოტული ლექსებისგან და იგი ღირსეულად აღიქვამს ლექსების ქართული ლიტერატურის ისტორიას.

ორი ერის მსახური



საქართველოს და სომხეთის მწერალთა კავშირებს მჭიდროდ და ნაყოფიერი ურთიერთობები აქვთ. ამის ნათელი დასტურია სომხეთში გამომცემლობა "ანტარესის" და საქართველოს ნიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით გამოცემული ქართული მწერალთა ნიგნები, რომლებიც სომხურად თარგმნა ცნობილი მთარგმნელი, პოეტმა, პუბლიცისტმა, საზოგადო მოღვაწემ ანაიდა ბოსტანჯიანმა. სომხურ მკითხველმა დიდი სიყვარულით მიიღო ეს ნიგნები, რასაც მოწმობს სომხ კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა გამოხმაურებები და შეფასებები. გთავაზობთ ინტერვიუს ანაიდა ბოსტანჯიანთან.

ლიდან და მალე მისი ნიგნიც გამოვა. თსუში ქართული ფაკულტეტზე სწავლობს და ჟურნალისტიკა ჩემი უფროსი შეილიშვილი, ლიზა თოროსიანი, მანაც დაიწყო თარგმნა....

როდის დაიწყეთ მთარგმნელობითი საქმიანობა?

- გამომცემლობა "მერანში" რომ დაიწყო მუშაობა, 1975 წლიდან... ჩემი წრე იყო მდიდარი და საინტერესო ისეთი გამოჩენილი ქართველი (და სომხურიც) მწერლებით (ჩემი პირველი დირექტორი იყო კარლო კალაძე, მერე რევაზ მარგარიანი, უფრო გვიან გურამ გვერდნთელი). ხოლო სომეხი მწერლებიდან ჩემს ხელმძღვანელად და მასწავლებლად ვთვლი პროზაიკოს ბენიკ სეირანიანს - საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის იმდროინდელ თავმჯდომარეს, ქართულ-სომხური ძმობის ერთ-ერთ ბურჯთავანს, ვისი საქმიანობის მიმართული იყო მე ვმოღვაწეობ და მით უმეტეს ახლა სექციის ხელახალი გახსნის მერე გაავრცელებს საქმიანობას... და აი, სწორედ ამ წრეში ალბათ გამოჩნდებიან იყო, რომ არ მეთარგმნა ქართული გამომცემლობის მწერლები. ისინი ხშირად "მერანს" სტუმრობდნენ და მე ბუნებრივად ვაგივიანი ყველა...

პირველი ნაწარმოები, რომელიც თარგმნეთ?

- პროზაიკოსი კარლო კობორიძე, მოთხრობა "ჩვენი თეთრი ალუბალი"... არასოდეს არ მაინყებდა... ნაწილი ერევანში ბ.სეირანიანის რევიტი პირდაპირ "ლიტერატურულ გაზეთში". რედაქტორი კი იყო დიდი პოტი ზრაჩია ჰოვანიანი. ნაწილი თბილისში და ძალიან მოეწონა. მითხრა, მდიდარი ლიტერატურა აქვთ ქართველებს, ბევრი მეგობარი მყავს, იოსებ ნონევილი, რეზო მარგარიანი, მორის ფოცხიშვილი... კარგი მოთხრობა ესეც... შესანიშნავი თარგმანიც არისო. გაავრცელებ, მითხრა, შეილი, ძალიან ლამაზად გამოვიდესო. იცით, როგორ გამიხარდა. მეცხრე ცაზე ვიყავი. არადა, როგორ მეშინოდა. სულ რამოდენიმე თვეში ვთარგმნე ნ.დუმბაძის მოთხრობა "ხაზარულა" და მომანიჭეს ახალგაზრდა მთარგმნელის პრემია - ეს ჩემი პირველი გამარჯვებაა ამ დარგში. მერე უკვე იყო ჩემი პირველი მთარგმნელობითი ნიგნი - თამაზ ჭილაძე - "ოსიელიძის სასახლე" - 536 გვერდი! და კრიტიკოსმა, ქართველოლოგმა ტიგრან კარაპეტანიანმა დაწერა - "სასიხარულოა ძალიან, რომ ქართული ორიგინალიდან სომხურზე მთარგმნელების მცირე ბანაკი იყვება ძლიერი ძალით ანაიდა ბოსტანჯიანის სახით"....

რას გვეტყვი ქართულ მწერალზე, ოთარ ჭილაძეზე. როგორ დაიწყეთ მისი ნაწარმოებების თარგმნა?

მე ძალიან მსობლავს ოთარ ჭილაძის სიტყვის ძალა. შეუძლებელია არ მოუსმინო, ის ღვთაებრივია, ის უკვდავია, ის მუდამ იარსებებს და მისი მხატვრული ღირებულება უდავოა. ის უმადლესია, გამორჩეულია თავისი ღრმა ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური ხაზგასმებით, ემოციების, განცდების მალალი ნაკადით... ჩემთვის "გოდორი" გამორჩეულია ერთი გვარის, ერთი ოჯახის ისტორიით. საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთის, რამდენიმე თაობის მაგალითზე. დიახ, ეს ძალიან მასშტაბური მოვლენების ისტორიაა. ხაზგასმით ვამბობ მასშტაბურს, რადგან ერთი ოჯახის ცხოვრებით მთელი ეპოქა ასახული, თავისი კატაკლიზმებით, ინტრიგებით, ტრაგედიებით.

სწორედ ეს მასშტაბურობაა მწერლის ოსტატობის მაჩვენებელი. "გოდორში" სხვადასხვა თაობების მაგალითზე, ერთი ოჯახის ისტორია ანერული, მაგრამ იქ ლოკალური ამბის თხრობაა და როგორც მწერალი, მე ვეძებდი და ვკითხულობდი იმას, რაც სტრუქტურებს შორის, აბზაცებს შორის არის. მინდა აღვნიშნო, რომ გადათარგმნილი ჭილაძე, უნდა იყო მწერალი, სხვანაირად შეუძლებელია და მკითხველიც უნდა იყოს ინტელექტუალური.

მე ასევე მომიხილა რომანმა "გზაზე ერთი კაცი მიდიდა". მართალია, 3000 წლისწინანდელი მოვლენებია ასახული, არგონავტების ცნობილი მითით დაკავშირებით, საქართველოს ისტორია, ზოგადად კოლხეთის, მაგრამ ჩვენ ვხედავთ დღევანდელ მთხრობას, დღევანდელ საქართველოს და ჩვენი დროის ქართულ კაცს. თარგმნისას ძალიან განვიცდიდი, მე ვიყავი ჭილაძის მდიდარი სამყაროში, მის გმირებთან ერთად ვწუხდი, ვხარობდი. მისი უკვდავი გმირების სიდადე და სიდაბლეს ვიგრძენი და მაინც მაოცებს ჭილაძის შემოქმედების ძალა, მისი სიტყვის, მისი ემოციებისა და აზრების ნაკადი, სუპერმალიტი ცალკა და ამ ემოციიდან შობილი სუნთქვა და მიუხედავად ტვივილისა და სევდისა, რწმენა სინათლის გამარჯვებისა. აი, სწორედ ამით სუნთქავს ოთარ ჭილაძის შემოქმედება.

რადგან მკითხეთ, მე უნდა ვაღიარო სიხარულით და სიამაყითაც, რომ თარგმანზე ძალიან ბევრი დადებითი აზრია ნიგნის რედაქტორის, ახალგაზრდა ლიტერატურათმცოდნე არქმენიკ ნიკოლოსიანისა და არმენ მარტიროსიანისგან დაწყებული და კრიტიკოსების, ანუ სედრაკიანის და არმენ ავანესიანის, მწერლების, გოპარ გალსტიანის, ლევონ დრნოიანის და სხვებით დამთავრებული... სწორედ არმენ ავანესიანმა დაწერა - "გენიალური ნაწარმოების გენიალური თარგმანი! "გოდორი". მაგალითები ბევრია. მინდა დავამატო ისიც, რომ სხვა შემთხვევაში (ეს ხომ თარგმანია და არა ორიგინალი. მკითხველმა ჭილაძე გაიცინო სომხურ ენაზე) ნიგნი ბესტსელერის სიაში არ იქნებოდა! ქართულიდან სომხურზე ერევანში

დაბეჭდილი ნიგნების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო და ჩემი სიხარული და სიამაყე ჯერ ჭილაძისთვის და მერე ჩემთვის, მგონია, ბუნებრივია. ასე რომ, ძალიან გახარებული ვარ და, რა თქმა უნდა, მეამაყება იმიტომ, რომ ეს მთარგმნელის შრომის შეფასებაა.

წლების მანძილზე ბევრი ქართველი ავტორის ნიგნი დაიბეჭდა ერევანში სხვადასხვა პროექტებით, ასევე სახელმწიფო შეკვეთით. საქართველოსა და სომხეთის მწერალთა კავშირების ნარდგინებით. მისხარია, რომ, აი, უკვე თითქმის 2 წელია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ერევანში გამომცემლობებში, ძირითადად "ანტარეს"-ში მარტო ჩემი თარგმანით დაიბეჭდა 4 ნიგნი (გამომცემლობა "ინტელექტის" ნარდგინით 2 ნიგნი - ირაკლი სამსონაძის "ყურთბალიში", "7 სახელით - თანამედროვე ქართული პოეზია, და ჭილაძის 2 რომანი, დაბეჭდილია ასევე დათო ტურაშვილის "ჯინსების თაობა"). მე ვთარგმნე და ერევანში გამომცემლობა "ორაკულმა" დაბეჭდა ასევე ბესო ხვედელიძის რომანი "ნამასტე". მანამდეც იყო ბევრი ნიგნი - რეზო მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, დავით შემოქმედელი, ანთოლოგიები. დავიწყე რევაზ მიშველაძის ახალი რომანის "ციყვი ბორბალი" თარგმნა.

ძალიან ხშირად მეზადება ასეთი ფიქრი - ნეტავ, დღეს ჰქონოდა არა 24 საათი, არამედ 2-ჯერ, 4-ჯერ, მრავალჯერ მეტი და მაშინ მოვასწრებდი უფრო ბევრის თარგმნას. გულით მინდა, ვთარგმნო მხიელი ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გოდორი ჩოხელი... დაგეგმილი მაქვს "ჯავახის ხიზნები", "ნატურის ხე"... უფლის ნებით, ვნახოთ...

ქალბატონო ანაიდა, საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს ვადანწყვეტილებით კვლავ ადგება სომხური სექცია და მის თავმჯდომარედ თქვენ დაინიშნეთ.

- დიახ, ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულო და ამავე დროს ძალზე საპასუხისმგებლო მოვალეობაა.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

ქრისტიანული პოეზიის VI ფესტივალი "წმინდა ნინოს ჯვარი"

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი უნდა გამოგზავნონ, ამა წლის 20 აპრილის ჩათვლით, ელექტრონულ მისამართზე: festivali2011@yahoo.com festivali2011@mail.ru

ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი.

ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შამდეგი პრიზებით: მთავარი პრიზი - წმინდა ნინოს ჯვარი, პრიზი - წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი, პრიზი - წმინდა ნინოს ჯვრის მედალი.

საბავშვო ლექსების ავტორების ნახალისების მიზნით, წელს, ცალკე შეფასდება ქრისტიანულ თემატიკაზე გამოგზავნილი საბავშვო ლექსები და ასეთი ავტორებისთვის ცალკე გაიცემა პრიზები.

საფესტივალოდ გამოგზავნილი ლექსები დაიბეჭდება კრებულად. ფესტივალი ჩატარდება 2016 წლის 1 ივნისს.

საკონტაქტო ტელეფონი: 555 46 44 29 ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

